24 – 30 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

# ახალი განათლება

№36 (750) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



გვერდი 2

## თანამშრომლობა კადრების მოზიდვისა და მაღალკვალიფიციური პედაგოგების აღზრდისათვის



გვერდი 4

## პოზიტიური ცვლილებები სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის



გვერდი 5

## თანამედროვე განათლების სისტემის მთავარი ინსტრუმენტი

## „განათლების მეცნიერება“ – რეფერირებადი ჟურნალი განათლების მკვლევრებისთვის

გვერდი 6

## „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“

გვერდი 7

მედიაწიგნიერება

## რუქნადინის დამარცხება

გვერდი 8

## „კომბლეს“ ორიგინალი, ანუ კომბლე – საბჭოთა გმირი თუ ქრისტეს მოციქულობის სიმბოლო

გვერდი 12

ხელმომწერთა საყურადღებოდ!




დაწყებითი კლასების პედაგოგებს!

წიგნი მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. ის მოიცავს:

1. საგნობრივ, თეორიულ მასალას
2. ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს

დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დახმარება საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში

## კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა (CST)

## ახხადებს ვაკანსიას პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით

### წარმოსადგენი დოკუმენტები:

- CV რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში – ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში და მოცემულ სფეროში საქმიანობის, მინიმუმ, 6-წლიანი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში და მოცემულ სფეროში საქმიანობის, მინიმუმ, 3-წლიანი პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში და, სასურველია, დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;

დ) ასისტენტისთვის
- დოქტორანტი, ან მოცემული დარგის მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

### პიროვნული თვისებები

- ქართულ ენაზე მეტყველებისა და წერის მაღალი კულტურა;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- პასუხისმგებლიანობა, კომუნიკაბელურობა;
- საქმისადმი ერთგულება;
- მოწესრიგებული, დისციპლინირებული, მოტივირებული;
- ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების უნარი;
- სწავლებისა და სტუდენტებთან ურთიერთობის უნარი;
- გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი.

### კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I – დოკუმენტაციის გადარჩევა;
II – პრეზენტაცია;
III – შეჯამება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,
გამოაგზავნოთ შესაბამისი დოკუმენტები მისამართებზე:
hr@cu.edu.ge, nsulaberidze@cu.edu.ge

გთხოვთ, მიუთითოთ საგნის დასახელება შემდეგნაირად:
„Application for CST“. ასევე, რეზიუმეში აუცილებლად მიუთითეთ
ორი რეკომენდატორის სახელი და გვარი.

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას,
გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და
დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

**საბუთების მიღება: 2016 წლის 24 დეკემბრიდან 2017 წლის 24 იანვრის ჩათვლით**


ინფორმაცია

# თანამშრომლობა კადრების მოზიდვისა და მაღალკვალიფიციური პედაგოგების აღზრდისათვის

ანა ფირცხალაიშვილი

18 ნოემბერს, სასტუმრო რედისონში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **გიორგი მაჩაბელმა**, ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტთან (G-PRIED) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მემორანდუმი მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, რასაც G-PRIED სთავაზობს უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებს, მათ შორის: ერთად განიხილავენ არსებულ სასწავლო პროგრამას, მის სილაბუსებს და G-PRIED-ის მეთოდოლოგიის და რესურსების გათვალისწინებით, წარუდგენენ თავიანთ მოსაზრებებსა და კომენტარებს ცვლილებებთან დაკავშირებით; დაეხმარებიან სასწავლო კურსისა და განათლების პროგრამის დასრულებაში; ფაკულტეტების წარმომადგენლებს გადასცემენ პროექტის მიერ დაბეჭდილ რესურსებს, მათვე ექნებათ წვდომა G-PRIED-ის პორტალზე ელექტრონული ტრენინგებისა და ელექტრონული საკლასო შეფასების სივრცის ჩათვლით, ეს სივრცე ღიაა სტუდენტებისთვისაც; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, პროექტთან ერთად, გაუწევს მონიტორინგს უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამისა და კურსის მიმდინარეობას პირდაპირი დაკვირვების გზით და შემუშავებულ რეკომენდაციებს წარუდგენენ მხარეებს.

G-PRIED-ს საქართველოს დაწყებითი განათლების მასწავლებლებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით შექმნა და საკლასო პრაქტიკაში დანერგა მოსწავლეზე ორიენტირებული ინოვაციური სწავლებისა და დამატებითი რესურსების გამოყენების მეთოდები მათემატიკის, კითხვის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ბიზნესის უნარ-ჩვევების სწავლებისათვის I-VI კლასებში. პროექტის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა (ისე როგორც პროფესიული განვითარების ცენტრის), მხოლოდ მოქმედი პედაგოგების გადამზადებას გულისხმობდა და არა პროფესიაში შესვლის მსურველთა დახმარებას. ლოგიკურია და, სამომავლოდ უფრო ეფექტურიც, რომ პროექტი ამიერიდან იმ ადამიანებს დაეხმარება, ვინც უნივერსიტეტებში ეუფლება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიას. ბოლო წლებში, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე, პერიოდულად, სულ იყო საუბარი თავად ფაკულტეტების დახმარების აუცილებლობაზე მაღალკვალიფიციური, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, სტუდენტის მოსამზადებლად, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით მხოლოდ ახლა გადაიდგა. თავის გამოსვლაში განათლების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**, მემორანდუმის მნიშვნელობა სწორედ ამ მხრივ შეაფასა განსაკუთრებულად. მან თქვა: *„რესურსები, რომელიც დაწყებითი საფეხურის სტუდენტებისთვისაა მომზადებული, მეთოდური თვალსაზრისით, ძალიან ღირებულია. საქართველოს განათლების სისტემას ასეთი კოორდინირებული საქმიანობის დიდი გამოცდილება არ აქვს. ჩვენთან უნივერსიტეტები თავისთვის მუშაობენ, პროფესიული განვითარების ცენტრი – თავისთვის, პროექტები – თავისთვის და მხოლოდ ფრაგმენტული თანაკვეთებია ხოლმე მათ შორის, გარკვეული პერიოდულობით. დღეს საფუძველს ვუყრით კოორდინირებულ, ერთიან მიზანზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც წინ გადადმული ნაბიჯია არა მხოლოდ კონკრეტული მიზნის მისაღწევად, არამედ, ზოგადად, სისტემის განვითარებისთვის. მომავალშიც ბევრი ერთობლივი პროექტი შეიქმნება სხვა მიმართულებითაც“.*

ასეთივე იყო გიორგი მაჩაბლის გამოსვლის პათოსიც, რომელმაც მადლობა გადაუხადა G-PRIED, ასეთი წარმოწყებისთვის და აღნიშნა: *„ჩვენ ვაერთიანებთ საკუთარ ადამიანურ, ინტელექტუალურ რესურსებს, რათა იგი უფრო ეფექტურად მოვახმაროთ პედაგოგიური კადრების მომზადება-გადამზადებას, მათ პროფესიულ განვითარებას“.*

მემორანდუმში ჩართულ მხარეებს G-PRIED-ის ხელმძღვანელმა, **ინდირა ამირანაშვილმა** მიმართა: *„საერთოდ, ჯერ ხელშეკრულებას აფორმებენ ხოლმე და მერე იწყებენ მუშაობას. ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა – მუშაობა ჯერ კიდევ ივნისში დავიწყეთ. უნივერსიტეტებმა უყოყმანოდ გამოთქვეს მზაობა და მხარდაჭერაც, ფაკულტეტების წარმომადგენლებმა საგნობრივად განიხილეს კურსის სილაბუსების პროექტი; მათთან კონსულტაციებს მომავალშიც გავაგრძელებთ. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვფიქრობთ გავაფართოვოთ პირველადი გეგმა და ვიმუშაოთ პედაგოგიური პრაქტიკის ნაწილზეც. ამ მიმართულებით სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულებულია, რაც დარჩა, ისაა, რომ გამოცხადდეს 300-კრედიტიანი სისტემის აკრედიტაცია და ეს საქმე დაიძრას“.*

მემორანდუმზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ თავიანთი მოსაზრებები გაგვიზიარეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან.

**თამარ ტალიაშვილი**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ცენტრის დირექტორი, პროფესორი: *„ჯერ კიდევ 2009-10 წლებში ჩვენი უნივერსიტეტი პირველი იყო, ვინც წიგნიერების მოდელი შექმნა. პროექტით „ღია სამყარო“ თავად შევიმუშავე წიგნიერების კურსი. უნივერსიტეტში ძალიან კარგად ჩანს, რომ სტუდენტთა სერიოზულ ნაწილს სკოლაშივე არ აქვს განვითარებული წერისა და კითხვის უნარები. ეს ძალიან დიდი ხარვეზია და მის დაძლევაში ნამდვილად დაგვეხმარება G-PRIED-ის შემოთავაზება. დღეს, დაწყებით საფეხურზე ხარისხიანი სწავლება შეუძლებელია დიფერენცირებული მიდგომის გარეშე – ეს პროექტი ამ სირთულის დაძლევაშიც დაგვეხმარება და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ამ სილაბუსმა სისტემაში მოიყვანა ყველა ის საკითხი, რაც ეხება წიგნიერებას და კონსტრუქტივისტულ მიდგომას. დაბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სილაბუსი*

## ინფორმაცია

საუკეთესო ინსტრუმენტია კარგი სტუდენტისთვის, რომელიც პრაქტიკას გაივლის, დაძლიოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სტანდარტი. მოგეხსენებათ, სტანდარტები რთულია და მისი დაძლევა უჭირთ მოქმედ პედაგოგებს. პედაგოგის პროფესიაში შესვლის მსურველთა რაოდენობამ კი იმატა, მაგრამ ხარისხი ნამდვილად დაბალია. ოთხ წელიწადში ჩვენ ვერ მივიღებთ ისეთ მასწავლებელს, რასაც სახელმწიფო სტანდარტი ითხოვს, მაგრამ თუ ამუშავდება 300-კრედიტიანი სისტემა, სრულიად საკმარისი იქნება ბაკალავრის დონეზე კვალიფიციური სპეციალისტის მოსამზადებლად. რაც შეეხება VII-XII კლასებს, აქ სხვა დონე და მოთხოვნებია, ამიტომ სამაგისტრო კურსის გავლა აუცილებელია“.

**ირმა ქურდაძე**, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: „უნივერსიტეტში საკმაოდ მრავალფეროვანი მეთოდური ლიტერატურა გვაქვს, თუმცა G-PRIED-ის მიერ შემოთავაზებული შეავსებს არსებულს, ახალი ხედვით – ეს არის ინოვაციური და კონსტრუქციული მიდგომები სწავლებაში, გაკვეთილის სამფაზიანი მოდული, გამოწვევა, რეფლექსია და ა.შ. უფრო კარგად არის გააზრებული და დანახული დიფერენცირებული სწავლების ელემენტები ყველა კომპონენტის ჩათვლით – ცოდნა, უნარები და ა.შ. გადის მისაღწევ შედეგებზე, ძალიან დაეხმარება უნივერსიტეტებს თავიანთი პროგრამების გამდიდრებაში. საერთო ჯამში, ეს არის მოსწავლისა და მომავალი მასწავლებლისათვის გათვლილი, კარგად გააზრებული პროექტი. მისი დანერგვით, ვფიქრობ, ხელს შევუწყობთ ახალგაზრდების მოზიდვას და მოტივაციის გაზრდას, მით უმეტეს, 300-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში, რომელიც უფასო იქნება“.



სოხუმის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი **ლია ახალაძე**, შემოთავაზების სასიკეთო შედეგებში დარწმუნებულია და ამბობს, რომ G-PRIED-ის პროექტებს აქამდეც ინტერესით ადევნებდნენ თვალს, სარგებლობდნენ კიდეც მათ მიერ მომზადებული რესურსებით, მოსწონთ სკოლებთან მუშაობის მეთოდები, პირდაპირი კავშირები: „ვოცნებობდით, რომ უნივერსიტეტშიც შემოსულიყვნენ. ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია სკოლისა და უმაღლესის დაკავშირება. აწი უფრო ხელმისაწვდომი იქნება მათი ყველა მასალა. საჭიროების შემთხვევაში ჩვენი ლექტორები ტრენინგებსაც გაივლიან ორივე მიმართულებით – წიგნიერებაშიც და მათემატიკაშიც“.

G-PRIED-ის ახალ პროექტს სკოლისა და უნივერსიტეტების დამაკავშირებელ მეტად საჭირო და აუცილებელ საშუალებას უწოდებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, სწავლების მეთოდიკის ასოცირებული პროფესორი **მანანა დეისაძე**. ეს ორი რგოლი, როგორც ერთი მთლიანობა ისე უნდა განიხილებოდეს. „როცა მოქმედ მასწავლებელს სკოლაში ინოვაციური მიდგომებით მუშაობას ვთხოვთ, თუ ეს უნივერსიტეტში, სტუდენტობისას არ აითვისა და ამ ცოდნით შეიარაღებული არ გავუშვით, სხვაგან კიდევ სად ისწავლის... მე თავად ვარ სილაბუსის ავტორი, მთელი დღის განმავლობაში განვიხილავდით შემოთავაზებულ ნოვაციას და უკვე ვიცი, როგორ გავამდიდრო და გავამრავალფეროვნო მოქმედი სასწავლო კურსი“.

**ნანა მაკარაძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: „საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ განხორციელებული აქტივობების მონაწილე უნივერსიტეტი ვართ. ჩვენი სტუდენტი პრაქტიკანტები, რომლებიც მათ პროექტებში მონაწილეობდნენ, ყოველთვის გამორჩეულები და მეტად წარმატებულები იყვნენ. ამიტომაც უყოყმანოდ შევუერთდით მემორანდუმს. მისი ორივე მიმართულება ჩვენთვის საინტერესოა, ვამზადებთ ქართული ენისა და მათემატიკის, ბუნებისმეტყველების ინტეგრირებულ მასწავლებელს. კურსის წამყვანი ლექტორები დეტალურად შეისწავლიან სილაბუსს, რომლის საფუძველზეც მომზადდება ახალი სასწავლო კურსი, რომელსაც აკრედიტაციის შემდეგ შევიტანთ ძირითად საგნად. მე, როგორც ქართული ენის სერტიფიცირებულ მასწავლებელს, მიმაჩნია, რომ წიგნიერების ცალკე კურსად გამოყოფა სწორი გადაწყვეტილებაა. დღესაც მთელი დღე განვიხილავდით წარმოდგენილ მასალებს, რომელიც დოგმა არ არის (თუმცა ასეც შეგიძლია მიიღო). მიმაჩნია, რომ არის საკითხები, რომელთა შეტანა სილაბუსში, რაღაც დოზით, საჭიროა, რიგი საკითხები გასაძლიერებელია, შესაძლოა თემატიკაშიც შეიტანო ცვლილება, მაგრამ მთავარია, რომ ძირითადი ჩარჩო არსებობს, რომლის ირგვლივ, თავიანთი ხედვით, კურსის წამყვან ლექტორებს გაცილებით ეფექტური და საინტერესო პროგრამების შეთავაზება შეუძლიათ სტუდენტებისათვის“.

**პაატა პაპავა**, დაწყებითი განათლების პროექტის წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი: „პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის კომპონენტი იმთავითვე (5 წლის წინ) იყო გათვალისწინებული. სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო გადაწყდა, რომ დროში გადაგვეწია ეს პროცესი. ახლა ვრწმუნდები, რომ სწორი, რაციონალური გადაწყვეტილება მივიღეთ, რადგან ურთიერთობას ვიწყებთ კონკრეტული და ცოცხალი გამოცდილების ფონზე. ის, რაც ჩვენ დღეს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს წარვუდგინეთ, ნიშნავს, რომ 21-ე საუკუნის პედაგოგი შევაიარაღეთ G-PRIED-ის მიერ შექმნილი მრავალგვარი თანამედროვე რესურსით. სხვა ბევრი პროექტისგან განსხვავებით, რომლებშიც ვმონაწილეობდი, ეს პროექტი გამოირჩევა იმით, რომ ტრენინგებით მეთოდური გადამზადების გარდა მასწავლებელს აწვდის უამრავ სასწავლო მასალას. ახლა ეს ყველაფერი სტუდენტებთანაც მიდის, რომლებიც აქტიური პრაქტიკის სახით მიემაგრებიან ისეთ სკოლებს და მასწავლებლებს, რომლებიც უკვე ხარისხიანად აკეთებენ ამ ყველაფერს.

დღევანდელი შეხვედრა პირველი არ არის. ყველა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან თანაბარი ინტერესია, შესაბამისად, კომუნიკაციაც ინტენსიურია. მაგალითად, თელავის უნივერსიტეტი მაშინ ჩაება პროცესში, როცა სილაბუსი ჯერ კიდევ შექმნის პროცესში იყო, თან ვწერდით და თან ვამოწმებდით, რომელი აქტივობა უკეთ მიიღეს სტუდენტებმა, რა აზრი ჰქონდათ ლექტორებს, რომელი რესურსი უკეთ გამოადგათ და ა.შ. პროექტმა უკვე უნივერსიტეტებში გადაინაცვლა და, რა თქმა უნდა, მათთან ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება“.

**გიორგი ნოზაძე**, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი: „ეს სილაბუსები თანაბრად დაეხმარება სტუდენტებსაც და მასწავლებლებსაც. სტუდენტებს იმაში, რომ გახდნენ კარგი მასწავლებლები, ხოლო მოქმედ მასწავლებლებს – უკეთესნი და უფრო თანამედროვენი. საკანონმდებლო დოკუმენტების დონეზე, არც ჩვენი ეროვნული სასწავლო გეგმა, არც მასწავლებლის სტანდარტი და არც ინოვაციური მეთოდები, რომელსაც ვთავაზობთ და აქამდეც იყენებდნენ ჩვენი პედაგოგები, ნამდვილად არ ჩამორჩება მსოფლიო დონეს, არაფერი მეტი და განსაკუთრებული სხვაგან არ ხდება. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ის, რაც ხელეწიფება რამდენიმე ძალიან ძლიერ წამყვან მასწავლებელს (ნიჭის, მონდომების, ინგლისურისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობის წყალობით), საყოველთაო ნორმა უნდა გახდეს იმიტომ, რომ იმ ნახევარმილიონ ბავშვს, რომელიც სკოლაშია, თანაბრად ეკუთვნის მისი წილი, ზრუნვა, ყურადღება და წინსვლა. ბავშვი, რომელიც დღეს სახელმწიფოსთვის ხარჯია, 10 წლის შემდეგ ამ სახელმწიფოს ბურჯი ვერ იქნება, თუ არ ექნა იმ დროისთვის შესაფერისი კომპეტენციები. ის, რაც G-PRIED-მა უნივერსიტეტებს, ანუ მომავალ პედაგოგებს შესთავაზა, ორივე მიმართულებით (მათემატიკა, წიგნიერება), სწორედ ამ მიდგომის გათვალისწინებითაა შექმნილი. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი უნივერსიტეტები მთლიანად გვერდს უვლიდნენ ამ ტიპის ინოვაციებს, მაგრამ სულ სხვაა, როცა მასწავლებელი იღებს ცოდნას რეალიზაციის ხერხების დონეზე და გადის შესაბამის წვრთნას. ასეთი წვრთნა, ასეთი ტექნოლოგიებით, თვალსაჩინოებით და რესურსებით, ჩვენს პედაგოგებს, მით უმეტეს სტუდენტებს, არ ჰქონიათ. მათ ახლა თეორიული ცოდნის ყველა თვალსაჩინო რესურსი აქვთ.

რაც შეეხება კურსის წამყვანი ლექტორებისთვის საგანგებო ტრენინგებს, მათი შესაძლებლობების თვალსაზრისით, პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან იმდენად დეტალურადაა გაწერილი ყველაფერი, იმდენი ვიზუალური მასალა და გამზადებული რესურსია, რომ სურვილი და მონდომება სავსებით საკმარისი იქნება. თუმცა, საკონსულტაციო შეხვედრებისთვის ჩვენ ყოველთვის მზად ვართ. ახლა მთავარი სხვა რამაა – სრული ციკლი რომ შეიქმნას, კიდევ გვაკლია კომპონენტი, რაც სასწრაფოდ გასაკეთებელია – მაღალი კლასების მომავალ და მოქმედ პედაგოგებს, მათ მოსწავლეებს ვგულისხმობ. რა ქნან ამ ბავშვებმა, რომლებიც სწავლის ასეთ მიდგომებს მიეჩვივნენ, მაღალ კლასებში? პირველ რიგში, VII-X კლასების დონეზე მაინც უნდა შეიქმნას მსგავსი დოკუმენტი, ეს აუცილებელია. XI-XII-ში სააბიტურიენტო განწყობებია და იქ აქცენტი, ძირითადად, შეიძლება გაკეთდეს ცოდნის დასისტემებაზე, კონსტრუირებაზე, განმავითარებელ ეფექტებზე. სხვა დრო მოდის და მისი შესაბამისი ტექნოლოგიებიც დასამუშავებელია. როცა ყველაფერ ამას მოვახერხებთ, შევქმნით და დავნერგავთ, მაშინ მართლაც გვექნება ამერიკული და დასავლური, გნებავთ აღმოსავლური (ვგულისხმობ სინგაპურს, ჰონკონგს, ტაილანდს) დონის განათლების სისტემა“.





**ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად**

# პოზიტიური ცვლილებები სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის

ლალი ჯელაძე



*„რამდენიმე წლის წინ ინგლისური ენის სწავლება დავიწყე დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. ამ პერიოდში რამდენიმე ქართველი სტუდენტი გავიცანი, რომლებიც მოგვიანებით ჩემი მეგობრები გახდნენ. ასე აღმოვაჩინე თქვენი ქვეყანა და დავიწყე ქართული ენის შესწავლა. ამის შემდეგ გადავაწყდი პროგრამას „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად", რომელმაც მომცა შესაძლებლობა გარკვეული პერიოდი გამეტარებინა საქართველოში და ენების შესწავლისადმი ჩემი გატაცება სწავლების პროცესთან შემეთავსებინა. "* – გვიამბობს **ჰემლეტ ველვე,** პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ახალი ნაკადის მოხალისე მასწავლებელი, რომელიც განაწილებით ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის.

პროგრამა არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხო ენის მასწავლებლებისთვისაც, რადგან, როგორც ამბობენ, ამას სხვადასხვა კუთხით მოაქვს დადებითი შედეგი, როგორც ენის კომპეტენციის გაზრდით, ისე ქვეყნების (ამერიკისა და ინგლისის) კულტურისა და ისტორიის დეტალების შესწავლით და იმ გლობალურ თემებზე საუბრით, რომელსაც ქართველ მოსწავლეებს სთავაზობენ. ჭიათურის №7 სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნათია კაპანაძე** ამბობს, რომ სკოლაში უკვე ექვსი წელია, რაც პროგრამით უცხოელი მასწავლებლები ჩამოდიან, მაგრამ წელს განსაკუთრებით გაუმართლათ, რადგან არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მასწავლებელი ჰყავთ – ოჰაიოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **ქიგან სქოთი**, რომელიც წელს საქართველოში პირველად ჩამოვიდა პროგრამის მასწავლებელთა ახალ ნაკადთან ერთად. 22 წლის ახალგაზრდა უკვე ორი წელია ინგლისურ ენას დისტანციურად ასწავლის სხვადასხვა პროგრამით. *„ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ, ყოველ გაკვეთილს ერთმანეთთან შეთანხმებით ვგეგმავთ და ისე ვატარებთ. მიხარია, რომ ასეთი კარგი მასწავლებელი გვყავს, ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ. რამდენიმე მასწავლებელი გამოვიცვალეთ, მაგრამ ქიგან მასწავლებელი ყველაზე მეტად მოგვწონს. ქართველ ბავშვებს, მოგეხსენებათ, კომპლექსი აქვთ ინგლისურ ენაზე თუ სხვა უცხო ენაზე საუბრის, განსაკუთრებით რაიონებში. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია პროექტი იმით, რომ სწორედ ეს კომპლექსი ეხსნებათ და, ძირითადად, მათ მოსმენისა და საუბრის უნარები უვითარდებათ. ამისთვის ძალიან ბევრს მუშაობს თვითონაც და ჩვენც. რასაკვირველია, ჩვენთვის – მასწავლებლებისთვისაც ძალიან კარგია მათთან ურთიერთობა, ინგლისურენოვან ადამიანთან საუბარი ჩვენც გვეხმარება ენის გაწაფვაში."* – ამბობს ნათია კაპანაძე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამას „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" მოხალისე მასწავლებლების ახალი ნაკადი უკვე შეუერთდა და, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, საორიენტაციო ტრენინგებიც ჩაუტარდათ. 12-საათიანი ტრენინგ-მოდული „თანასწავლების მეთოდებსა" და „კლასის მართვას" მოიცავდა. შემაჯამებელ შეხვედრაზე მოხალისე და ადგილობრივმა მასწავლებლებმა ერთმანეთს კლასში სხვადასხვა დონის მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდების გამოყენების გამოცდილება გაუზიარეს.

უცხოელი მოხალისეები განაწილებული არიან თბილისში, აჭარის, იმერეთის, გურიის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და შიდა ქართლის რეგიონების საჯარო სკოლებში, სადაც თითოეული მოხალისე მასწავლებელი სამ ან ოთხ ადგილობრივ უცხოური ენის მასწავლებელთან თანამშრომლობს.

პროგრამა 2010 წლიდან ხორციელდება, მის ფარგლებში საქართველოს, ყოველწლიურად, უცხოენოვან მოხალისე მასწავლებელთა რამდენიმე ჯგუფი სტუმრობს. მოხალისე მასწავლებლები მასპინძელ ოჯახებში ცხოვრობენ და დასაქმებული არიან საქართველოს საჯარო სკოლებში, სადაც, უცხოური ენის ადგილობრივ მასწავლებლებთან და თემის სხვა წევრებთან თანამშრომლობით, აქტიურად ერთვებიან სასკოლო და სათემო ცხოვრებაში.

პროგრამამ, მეორე წელია ცვლილებები განიცადა და ახლა პრიორიტეტი ხარისხს, მოხალისის გამოცდილებას და ადგილობრივ მასწავლებლებთან თანამშრომლობას ენიჭება. წელს სიახლეა ისიც, რომ პროგრამას, ინგლისურენოვანი და ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებლების გარდა, ფრანგულენოვანი და გერმანულენოვანი მასწავლებლებიც დაემატა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი** მიიჩნევს, რომ პროგრამამ მართლაც პოზიტიური ცვლილებები განიცადა, რამაც სკოლებში ენის შესწავლის დონე აამაღლა როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში: *„აღსანიშნავია, რომ ორი წელია პროგრამამ პოზიტიური ცვლილებები განიცადა. დაიხვეწა მოხალისე მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმები – უპირატესობა იმ კანდიდატებს ენიჭება, რომლებსაც განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვთ, გარდა ამისა, გაიზარდა კონტრაქტის ვადები: მოხალისეები სრულ სასწავლო წელს ატარებენ სკოლაში, რაც ენის შესწავლის ხარისხს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს.*

*თავიდან პროგრამაში მოგვყავდა პირები, მოხალისეები, რომლებიც უბრალოდ ენის მატარებლები იყვნენ, შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ სწავლების გამოცდილება, რაც, თავისთავად, პრობლემას ქმნიდა, რადგან სისტემაში გვჭირდება ადამიანები, რომლებსაც სწავლა-სწავლების გამოცდილება აქვთ და კვალიფიციურები არიან. რადგან ქართველ მასწავლებლებზე მოთხოვნა გავართულეთ, შესაბამისად, ეს უცხოელ მასწვლებლებზეც გავრცელდა. აქედან გამომდინარე, 2014 წლიდან, როგორც გითხარით, მოხალისე მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმები შევცვალეთ, გავამკაცრეთ და დღეს სისტემაში შემოდიან მოხალისეები, რომლებიც არა მხოლოდ ენის მატარებლები არიან, არამედ მინიმუმ – ბაკალავრის ხარისხის მქონე ადამიანები და, ამასთან ერთად, პედაგოგიკის მიმართულებით აქვთ მიღებული განათლება და სკოლაში მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, უკვე ჩამოყალიბებული პედაგოგები ჩამოგვყავს საქართველოში და ისინი, სკოლის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონებში ნაწილდებიან. "*

მოხალისეების შერჩევას ძალიან ფრთხილად ეკიდებიან, რადგან კვალიფიკაციასთან ერთად, არსებობს კიდევ სხვა მრავალი კრიტერიუმი, რომელსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. მაგალითად, აუცილებელია, ჰქონდეთ სუფთა, არაკრიმინალური წარსული, ჯანმრთელობის მდგომარეობა – დამაკმაყოფილებელი და ა.შ. *„ იმის გარდა, რომ ვეცნობით მათ პირად ინფორმაციას, შერჩეულ კანდიდატებთან ონლაინ ინტერვიუებსაც ვატარებთ. ჩამოსვლის შემდეგ, ვაწყობთ პირველ შეხვედრას და ჩვენი განათლების სისტემის გასაცნობად ვუტარებთ ტრენინგებს, ასევე, ვაცნობთ იმ დოკუმენტებს, რაზეც ჩვენს სისტემაშია მოთხოვნა. ქვეყნის კულტურულ მხარეს, ვასწავლით ენის მინიმალურ კომპეტენციას, რომ მოსწავლესთან იურთიერთოს. ტრენინგს ვუტარებთ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებითაც, რომელიც ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაშია მიღებული. დეტალურად ვაცნობთ, რა ვალდებულებებს უყენებს მათ პროგრამა."* – ამბობს მანანა რატიანი.

უცხოელ კოლეგებთან ერთად, ადგილობრივი უცხოური ენის პედაგოგები იმაღლებენ ენის ცოდნის დონეს, მოიძიებენ და ამუშავებენ, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, დამატებით მასალას, ეცნობიან და ნერგავენ ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს. წელს სიახლეა ისიც, რომ 4-დღიან შეხვედრას, რომელიც წყალტუბოში გაიმართება, პირველად დაესწრებიან ადგილობრივი მასწავლებლებიც. ამ ინიციატივას მანანა რატიანი პროგრამის მდგრადობის კიდევ უფრო გაძლიერებით ხსნის: *„მოხალისეებს ვალდებულება აქვთ, იმუშაონ ენის პედაგოგებთან და დაეხმარონ მათ გაკვეთილის დაგეგმვაში, რესურსების მოძიებაში. სწორედ ამიტომ არის უფრო მდგრადი ეს სისტემა – ერთი უცხოელი მასწავლებელი იმუშავებს, მინიმუმ, სამ ადგილობრივ მასწავლებელთან. შეიძლება სამივე პედაგოგი ერთი სკოლიდან არ იყოს, მაგრამ ისინი იქვე, მიმდებარე სკოლის პედაგოგები იქნებიან. შესაბამისად, როცა მოხალისე მასწავლებელი სკოლიდან წავა, ადგილზე გვრჩება კადრები, რომელთაც უცხოელ მასწავლებელთან მუშაობის საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ, ეს კი მათი კვალიფიკაციის გაუმჯობესებაზე აისახება, რაც ენობრივი კომპეტენციის ზრდითაც იგრძნობა და იმ მეთოდოლოგიის დაუფლებითაც, რომელსაც უცხოელი კოლეგები მათ სთავაზობენ. ამდენად, უცხოელი მოხალისე პედაგოგები ჩვენს მასწავლებლებს საერთაშორისო გამოცდილებასაც უზიარებენ და აუმჯობესებენ როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა ენობრივ კომპეტენციებს. წელს, უცხოელ მასწავლებლებთან ერთად, ტრენინგებში ადგილობრივი პედაგოგების ჩართვით, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დავაკავშირდეთ უცხოელი და ქართველი კოლეგები ერთმანეთს და, რაც მთავარია, შედეგებს გავაორმაგებთ. ისიც მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას რაც შეიძლება მეტი განვრცობა იმითაც აქვს, რომ სკოლის შერჩევის კრიტერიუმად მის მაღალკონტინგენტიანობას ვიღებთ, ვირჩევთ მხოლოდ იმ სკოლებს, სადაც, არანაკლებ, ასი მოსწავლე სწავლობს. ამგვარად, პროგრამით რაც შეიძლება მეტ მოსწავლეზე ვახდენთ გავლენას."*

მოხალისე მასწავლებელი ატარებს როგორც შერეულ, ისე დამოუკიდებელ გაკვეთილებს. ერთ-ერთი, უმთავრესი საკითხი, რასაც პედაგოგებს ტრენინგზე ასწავლიან, სწორედ ეს თანამშრომლობაა: როგორ დაგეგმონ ერთობლივად მუშაობა, როგორ გაუწიონ ერთმანეთს ასისტირება. პროგრამის უმთავრესი მიზანიც ეს არის – ენობრივი კომპეტენციისა და პედაგოგიკის საკითხების გარდა, საგაკვეთილო პროცესების ერთობლივად შემუშავება-წარმართვა. *„ევროპისა თუ მსოფლიოს თანამედროვე პედაგოგიკაშიც დიდი ყურადღება ექცევა მასწავლებლების ერთმანეთთან თანამშრომლობას და სწორედ ეს პროექტი შეიძლება იქცეს საუკეთესო მაგალითად, თუ როგორ შეიძლება მასწავლებლებმა ითანამშრომლონ იმისთვის, რომ სწავლა-სწავლების შედეგები გაუმჯობესდეს* – ამბობს ქალბატონი მანანა, – *ჩვენ მხოლოდ თანამასწავლებლების ენობრივ კომპეტენციას კი არ ვზომავთ გარკვეული ტესტით (თუმცა, პროექტის ფარგლებში, მიღწევები მართლაც შესამჩნევად უმჯობესდება), ძალიან კარგი შედეგები გვაქვს მოსწავლეებშიც. პედაგოგების ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესება განსაკუთრებით თვალშისაცემი მაშინ ხდება, როცა უცხოეთში სტაჟირებაზე გასაგზავნად შესარჩევ გასაუბრებაზე ვუსმენთ მასწავლებლებს. აღფრთოვანებული ვართ, ისე ფლობენ ენას. როცა ჩავეძიებით, აღმოჩნდება, რომ, გარკვეულ პერიოდში, სკოლაში, მოხალისე მასწავლებლები ჰყავდათ და ენის კომპეტენციის ასე მნიშვნელოვნად ზრდა ამან განაპირობა. სწორედ ეს არის პროექტის მდგრადობა, რაც მისი უმნიშვნელოვანესი სიკეთეა. რაც მთავარია, ეს სიკეთეები ვრცელდება არა მხოლოდ იმ სამ მასწავლებელზე, რომლებიც მოხალისის თანამასწავლებლებად მუშაობენ, არამედ დანარჩენ მასწავლებლებზეც, რომლებთანაც ის სამი კოლეგა აგრძელებს შემდეგ მუშაობას. დროებითი კადრები მიდიან, მაგრამ თანამასწავლებლები რჩებიან სკოლაში, შესაბამისად, მათი კვალიფიკაციის ამაღლება ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი."*

ქალბატონი მანანა მოხალისე მასწავლებელთა სწავლების განსხვავებულ მეთოდებზეც აკეთებს აქცენტს და ამბობს, რომ მათი მეთოდები ბევრად უფრო აქტიურია. *„მართალია, ჩვენთან, 2005 წლიდან, როცა ეროვნული სასწავლო გეგმა შეიცვალა, აქტიური მეთოდებით სწავლება შემოვიდა, მაგრამ მასობრივად, ყველა სკოლაში, ჯერ კიდევ მაინც არ არის დანერგილი. ამდენად, მათი სწავლების მეთოდები განსხვავებულია, ნამდვილად ინტერაქტიული და სხვადასხვა კომპონენტზე მიმართული – მოსმენა, კითხვა, წერა და ა.შ. რაც მთავარია, ადგილობრივი მასწავლებლები მათგან ამ აქტიურ მეთოდებს ძალიან კარგად ითვისებენ და შემდეგ თავიანთ გაკვეთილებზე ნერგავენ."*

მოხალისე პედაგოგს ვალდებულება აქვს, კვირაში 25 საათი ჩაატაროს, მაგრამ რომელ კლასში რამდენი, ამას სკოლა ანაწილებს მოხალისესთან შეთანხმებით. უფრო მეტად ცდილობენ ხოლმე, მოხალისე მასწავლებლები საბაზო და საშუალო საფეხურებზე შეიყვანონ. სკოლებში ენის სწავლების კულტურა ყალიბდება და ამ თვალსაზრისით, უცხო ენის დანარჩენი მასწავლებლები საკმაოდ დიდ სარგებელს ნახულობენ, რაც, საბოლოო ჯამში, მათი მოსწავლეების შედეგებზე აისახება, მოხალისე მასწავლებლების წასვლის შემდეგაც კი. პროექტის ერთ-ერთი მიზანიც ხომ ეს არის – რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ადგილობრივმა მასწავლებელმა უცხოელი კოლეგისგან. მოხალისის ვალდებულებაშიც არა მხოლოდ მასწავლებლებთან, არამედ თემთან მუშაობაც შედის. გარდა საგაკვეთილო პროცესისა, კვირის განმავლობაში, იმ ოჯახის წევრებთანაც ატარებს გაკვეთილებს, სადაც ცხოვრობს. კონტრაქტის პერიოდში ვალდებულება აკისრია, კვირის განმავლობაში, მინიმუმ სამი საათი, არასასკოლო საზოგადოებასთან, თემთან, მეცადინეობებს დაუთმოს.

კონტრაქტის ვადა ერთ წელს მოიცავს, თუმცა, თუკი ვინმეს გაუჩნდება სურვილი, შეუძლია კონტრაქტი გააგრძელოს. ახლა პროექტს 40 მოხალისე მასწავლებელი ჰყავს, მაგრამ, როგორც მასწავლებელთა სახლში გვითხრეს, ცდილობენ უფრო დიდ მასშტაბზე გავიდნენ. მოხალისეთა მოძიებაში პროგრამის ერთ-ერთი ყოფილი მონაწილე, კანადელი წარმოშობის პედაგოგი ეხმარებათ, რომელიც დასაქმებულია პროექტში, რეკლამირებას უწევს მას და ამით მოხალისეების მოზიდვას ცდილობს. თუმცა, როგორც გაირკვა, მას შემდეგ, რაც მოხალისეთა შერჩევის კრიტერიუმები გამკაცრდა, ამბობენ, რომ სკოლებიდან მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე მოხალისე ჰყავთ. მოხალისე მასწავლებელთა ხელფასების, მგზავრობის, და დაზღვევის ხარჯებს მთლიანად პროექტი ანაზღაურებს. რაც შეეხება ჩინურ, ფრანგულ და გერმანულენოვან მოხალისეებს – ამჟამად პროექტს16 ჩინურენოვანი და თითო-თითო გერმანულ და ფრანგულენოვანი მოხალისე ჰყავს, სამომავალოდ კი, მათი შეყვანა რეგიონებშიც იგეგმება, შესაბამისი მოთხოვნისა და მოხალისეთა რაოდენობის მიხედვით.

კონფერენცია

# თანამედროვე განათლების სისტემის მთავარი ინსტრუმენტი

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ტექნოპარკში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების რიგით მესამე კონფერენცია გაიხსნა, რომელშიც 200 პედაგოგი და სპეციალისტი მონაწილეობდა. კონფერენციის მიზანი ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება იყო – ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება მასწავლებლებს, ექსპერტებს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის.

კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ალექსანდრე ჯეჯელავამ** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **გიორგი მაჩაბელმა** გახსნეს. *„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა იმ ჯაჭვში, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს. ამ მიმართულებით უამრავი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი მხრიდან – ტრენინგები ისტ მიმართულებისა და კომპეტენციების განვითარების კუთხით. ამჟამად ცენტრი ახალ მოდელზე მუშაობს, სადაც კონკრეტული საგნების სპეციფიკაა გათვალისწინებული – გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის და სხვა საგნების სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ კონფერენციას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მეტიც, იმედებს ვამყარებთ და ვფიქრობთ, რომ, სხვა აქტივობებთან ერთად, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებას და მეტ ორიენტირებას ხარისხზე.“* – აღნიშნა **გიორგი მაჩაბელმა.**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ ხაზი გაუსვა ტექნოლოგიების მნიშვნელობას განათლების სისტემაში და აღნიშნა, რომ: *„თანამედროვე განათლების სისტემაში ტექნოლოგიების გამოყენება ცენტრალური და მთავარი ინსტრუმენტი ხდება, ისე როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ ამით პედაგოგები, მთელი საქართველოს მასშტაბით, არიან დაინტერესებული. დღეს კონფერენციის მონაწილეები არა მხოლოდ თბილისის ან დიდი ქალაქების სკოლებიდან არიან წარმოდგენილი, არამედ მთელი ქვეყნიდან. ისიც სასიხარულოა, რომ დასწრების მსურველი ბევრია, სამწუხაროდ, უსასრულო დასწრება არ გვაქვს და ამიტომ, ვინც უფრო მალე მოასწრო დარეგისტრირება, კონფერენციასაც ის ესწრება. მაგრამ* Livestream*-ის საშუალებით, ფაქტობრივად, ყველა მასწავლებელს შეუძლია, თვალი ადევნოს კონფერენციას, რომელიც განათლებაში ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით სიახლეების დანერგვას ეძღვნება.“*

მოხსენებები ხუთი თემატური მიმართულებით გაკეთდა: **სწავლა-სწავლება ციფრულ ეპოქაში** – მოიცავს ტექნოლოგიების სასწავლო გარემოში ინტეგრირების ნებისმიერ ასპექტს, ინოვაციურ მიდგომებს, მიმდინარე ტენდენციებს, სწავლა-სწავლებაში ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს, ისტ სტანდარტების ინტეგრირებისა და სკოლაში ისტ-ის დანერგვის სტრატეგიებს და ა.შ.; **პროფესიული განვითარება** – მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა თუ საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებული სხვა პირების უნარების განვითარება, ციფრული ეპოქის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად; **მენეჯმენტი და ლიდერობა ისტ-ის დახმარებით** – საგანმანათლებლო პროგრამებში ტექნოლოგიების როლის შესახებ ხედვის ჩამოყალიბება და განვითარება სხვადასხვა დონეზე. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, შეფასება და პერსონალის ხელშეწყობა ისტ-ის დახმარებით; **კვლევები სწავლა-სწავლებაში ისტ-ის გამოყენებაზე** – კვლევები საგანმანათლებლო სივრცეში ტექნოლოგიების ინტეგრირების შესახებ; **ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა** – იმ ტექნოლოგიების, რესურსებისა და სტრატეგიების გაცნობა, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის, ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისა და ადმინისტრირებისთვის.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია, ყოველწლიურად, ერთ სივრცეში უყრის თავს ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს, საგანმანათლებლო სექტორში ინტეგრირებისა და ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამცდილების გაცნობასა და გაზიარებას მასწავლებლებსა და ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ადამიანებსა თუ ორგანიზაციებს შორის. შესაბამისად, მისი მონაწილეები დარგის ექსპერტები და ტრენერები იყვნენ, ასევე სკოლების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. კონფერენციის სპონსორებსა და მხარდამჭერებს „ინტელი“, „მაიკროსოფტი“, „ლიბერთი ბანკი“ და „ლენოვო“ წარმოადგენდნენ.

*„ჩვენი მთავარი მისიაა, ყოველ პიროვნებასა და ორგანიზაციას პლანეტაზე მივცეთ უფრო მეტის მიღწევის შესაძლებლობა“* – ამბობს მაიკროსოფტი საქართველოს გენერალური მენეჯერი **ნიკოლოზ დობორჯგინიძე**. სწორედ აქედან გამომდინარე აირჩიეს მათ განათლების სფერო, რადგანაც მიაჩნიათ, რომ განათლებას შეუძლია ქვეყნის მოდელის შეცვლა, ტრანსფორმაცია და 21-ე საუკუნეში ღირსეულად შესვლა. ამისთვის კი ქვეყანაში ძალიან ბევრ პროექტს ახორციელებენ და ბატონი ნიკოლოზი, ჩვენთან საუბრისას, მათგან უმთავრესს ასახელებს: *„რამდენიმე კვირის წინ გავაფორმეთ მემორანდუმი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და, საქართველოს მასშტაბით, 32 სკოლაში სრულიად უფასოდ გაგვყავს* Wi-Fi. *სამინისტროს ვთხოვეთ, სპეციალურად რთულად მისადგომი სკოლები შეერჩია. მეორე პროექტი, რომელიც შემიძლია დაგისახელოთ, არის ჩემი საყვარელი პროექტი – კოდირების სწავლა (კომპიუტერის ენის სწავლა – რა არის პროგრამა, როგორ იწერება, როგორ ლოგიკაზე მუშაობს და ა.შ). სასურველია, პატარებს პირველი კლასიდანვე ჰქონდეთ ამასთან შეხება. არის მოსაზრება, რომ მომავალში ეს უნივერსალური ენა გახდეს. რადგან პროექტზე ახლა ვმუშაობთ, ამიტომ, თავიდან, საპილოტე რეჟიმში დავიწყებთ მის განხორციელებას.*

*უკვე ხუთი წელია, რაც „50 ათასი კომპიუტერის“ პროექტს ვახორციელებთ და ყველა პირველკლასელს საჩუქრად გადაეცემა კომპიუტერი. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ბავშვს უჩნდება შესაძლებლობა, სკოლაში მისვლის პირველივე წუთებიდანვე, ჰქონდეს კონტაქტი ტექნოლოგიებთან. ასევე, დავიწყეთ მუშაობა ელექტრონულ წიგნებზე. მინისტრს ძალიან სწორი მიდგომა აქვს ამ საკითხთან მიმართებაში – მშობლებს უტოვებს არჩევანის საშუალებას ელექტრონულსა და ჩვეულებრივ წიგნებს შორის, მე კი მგონია, რომ მშობლების უმეტესობა ელექტრონულს აირჩევს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, უკვე ვმუშაობთ ამ პროექტზე და ის ახლა საწყის ეტაპზეა, თუმცა შესაძლოა, დაახლოებით ექვს თვეში, მისი დასრულება შევძლოთ.*

*კიდევ ერთი პროექტი, რომელზეც ახლა ვმუშობთ, დიასპორისთვის ონლაინ სწავლებაა. მაგალითად, საფრანგეთში მცხოვრებ ქართულ ოჯახს თუკი გაუჩნდება სურვილი, შეისწავლოს საქართველოს ისტორია ან ქართული ენა, ჩვენ დავეხმარებით, რომ ეს ონლაინ შეძლოს. ამის ტექნოლოგიური გადაწყვეტილება გვაქვს და გვინდა, განათლების სამინისტროს შევთავაზოთ. ასევე, საინტერესო პროექტია ინკლუზიური სწავლებისთვის, „ვინდოუს 10“-ს უკვე აქვს რამდენიმე მიმართულება შშმ პირებისთვის – კომპიუტერებთან უკვე საუბარი შეიძლება. მეტსაც გეტყვით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ფორუმზე განაცხადეს, რომ ახლა სხვა მიმართულებით მივდივართ, თუკი ადრე ჩვენ უნდა გვესწავლა, როგორ გვეურთიერთა კომპიუტერთან, ახლა პირიქით ხდება – კომპიუტერს ვასწავლით, როგორ იურთიერთოს ჩვენთან. აი, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ადრეული ასაკიდანვე კოდირების სწავლება ბავშვებისთვის, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი წაიღებს დღევანდელი საქმის ძალიან დიდ ნაწილს და სულ მალე ბევრ რამეში ადამიანებს მანქანები ჩაანაცვლებენ. სექტემბერში გლობალურმა მაიკროსოფტმა საუკეთესო მკვლევრები და დეველოპერები შეკრიბა, შექმნა 5000-კაციანი დივიზია, რომლებიც სწორედ ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე იმუშავებენ.*

*რაც შეეხება დღევანდელ კონფერენციას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოწვეული სტუმრები საინტერესო თემებზე საუბრობენ და მსჯელობენ. ჩვენ გამარჯვებულებს კომპიუტერებით დავაჯილდოვებთ. ეს ყველაფერი რომ ტექნოპარკში ხდება, ესეც ნიშანდობლივია. ჩვენ მათთანაც ვთანამშრომლობთ და სრულიად უფასოდ ვაძლევთ იმ ძირითად ტექნოლოგიებს, რაც ეხმარებათ, რომ იდეები დატესტონ. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები რაც შეიძლება მეტი უნდა ჩატარდეს და უფრო მასშტაბურიც. რაც მთავარია, ეს მასწავლებლები მიეხმარებიან თავიანთ მოსწავლეებს ტექნოლოგიებთან ურთიერთობაში. როგორც მინისტრმა თქვა, მთავარი ცოდნის წყარო ახლა მასწავლებელი აღარ არის, რადგან მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა, მაგალითად, გუგლის სახით, სადაც ნებისმიერ კითხვაზე პასუხის მოპოვება წამებშია შესაძლებელი.“*

კორპორაცია „ინტელის“ ბიზნესის განვითარების მენეჯერი ამიერკავკასიაში **მაკა მახათაძე**, ამბობს, რომ, პირველ რიგში, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კონფერენციამ ტრადიციული სახე მიიღო, თუმცა მისი სურვილია, უფრო მასშტაბური გახდეს, რადგან 200 ან 250 მონაწილე პედაგოგი ძალიან ცოტაა და გაცილებით მეტი მსურველი გულდაწყვეტილი რჩება. *„კონფერენციაზე, ყოველწლიურად, მნიშვნელოვანი თემებია წარმოდგენილი და ორგანიზატორები მაქსიმალურად ცდილობენ, მასწავლებლებს მიაწოდონ ის გლობალური სიახლეები, რაც მსოფლიოში ხდება. რაც მთავარია, აწვდიან ინფორმაციას, როგორ გამოიყენონ ეს სიახლეები. ჩვენი კორპორაციის როლი ამ პროცესებში სხვადასხვა სახის მხარდაჭერით გამოიხატება, იქნება ეს მასტერ ტრენერების ტრენინგები თუ სხვ. როგორც ცნობილია, დაგეგმილი გვაქვს ტრენერების ტრენინგების რამდენიმე მეთოდი, რომლებიც მთლიანობაში მოიცავს ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლების პროცესში როგორც საგნობრივი, ისე გამჭოლი საგნებისათვის.“*

ორდღიანი კონფერენციის მრავალფეროვანი ფორმატი ძალიან საინტერესოდ იყო წარმოდგენილი. იმის გარდა, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი მოწვეული ექსპერტები აუდიტორიას საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე ესაუბრებოდნენ და პრაქტიკას უზიარებდნენ, კონფერენციის მეორე დღეს – 20 ნოემბერს – ტრადიციულად, სპეციალურად გამოყოფილ საგამოფენო დარბაზში, პოსტერების სესია გაიმართა, რომელიც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოვლენას და გაზიარებას ისახავდა მიზნად. პოსტერების ავტორებმა სკოლის ან ცალკეული მასწავლებლისა თუ წარმატებული პროექტის შესახებ წარმოადგინეს ინფორმაცია და სესიაზევე, მონაწილეებთან პირისპირ ან მცირე ჯგუფებში, ინტერაქცია განახორციელეს.

კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო აქტივობა ტექნოლოგიების გამოფენა იყო, რომელმაც მონაწილეებს ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორიების დათვალიერების შესაძლებლობა მისცა. გამოფენაზე კომპანიებმა წარმოადგინეს ის შესაძლებლობები, რასაც ტექნოლოგიები განათლების სფეროს სთავაზობს და მიიღეს უკუკავშირი სკოლების საჭიროებათა შესახებ. კონკრეტული ტექნოლოგიის გასაცნობად, დაინტერესებული პირებისთვის, ორგანიზებული იყო პრაქტიკული აქტივობებიც.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენციის შედეგად მასწავლებლები განივითარებენ ახალ სტრატეგიებს, როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში და უზრუნველყონ აქტიური სასწავლო გარემო, რომლის საბოლოო მიზანი მოსწავლეების სასწავლო შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობაა. თუმცა, ალექსანდრე ჯეჯელავამ, კონფერენციის გახსნისას, ყურადღება კიდევ ერთ ისეთ საკითხზე გაამახვილა, რომელიც, მისივე შეფასებით, მოძველებული აზროვნების გადმონაშთია და ეს ტექნოლოგიების გამოყენებასა და მასწავლებლების ასაკს ეხება: *„ტექნოლოგიების გამოყენებასა და მასწავლებელთა ასაკს ხშირად არც თუ პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენიებენ. ესეც ძველებურად აზროვნების შედეგია. თუ ჩვენ მოველით, რომ რობოტოტექნიკა, ვირტუალური რეალობა, ახალ-ახალი ონლაინ რესურსები მასწავლებელმა ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმისთვის, რომ შემდეგ მოსწავლეს ასწავლოს, მაშინ პრობლემა მართლა შეიძლება არსებობდეს. მაგრამ „გუგლი მასწავლებლის“ მაგალითზე ვამბობთ, რომ ეს ასე არ არის. მასწავლებელი არის მოტივატორი, მიმართულების მიმცემი, ურთიერთობის ინტერესის გამღვივებელი. ის ტექნოლოგიასა და მოსწავლის შუაში არ დგას, ისე როგორც არასდროს იდგა წიგნსა და მოსწავლეს შორის. იდგება გვერდით, რომ წაახალისოს, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს მას. ამიტომ, იმის თქმა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ისწავლის თუ არა, მაგალითად, ნათელა მასწავლებელი ტექნოლოგიების გამოყენებას ძალიან კარგად, ამას ვერ დავეთანხმები. მთავარია, ნათელა მასწავლებელმა ისწავლოს თანაცხოვრება „გუგლი მასწავლებელთან“. ჩვენ თუ გვინდა, რომ ახალგაზრდებზე უფრო მეტად ტექნოლოგიური ძველგაზრდები გვეყოლოს, ამის მეთოდი არ არსებობს. მაგრამ ჩვენ გვჭირდება ისეთი ძველგაზრდები, რომლებიც წაახალისებენ, შეაქებენ და დაამოტივირებენ მოსწავლეებს. ტექნოლოგიების გამოყენებაში ისინი ნამდვილად ვერ შეეჯიბრებიან მათ. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ ეს კავშირი, მაგრამ ამით მინდა დავამთავრო – ამას წინათ, პატრიარქთან სტუმრად ყოფნის ბედნიერება გვქონდა, ის ძალიან სერიოზული მხარდამჭერია ტექნოლოგიების გამოყენების (ეს მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ არ არის მხარდამჭერი). პატრიარქმა თავისი საერო ცხოვრებიდან ასეთი ისტორია მოყვა: თურმე არ უყვარდა ქიმიის საგანი, მაგრამ როცა მასწავლებელი დროებით სხვა მასწავლებელმა შეცვალა, ქიმიის მასწავლებელი შეუყვარდა და შეუყვარდა ქიმიაც. ტექნოლოგიები, ამ მხრივ, არაფრით განსხვავდება სხვა საგნებისგან. სკოლაში ყველაზე მთავარი სიყვარულია. ჩვენ გვჭირდება პედაგოგებში შეყვარებული მოსწავლეები, რომლებიც მერე „გუგლს“ კი არა, საოცრებებს ისწავლიან, ისევ და ისევ თქვენი (მასწავლებლების ) ხათრით, სიყვარულითა და პატივისცემით. ტექნოლოგიების კონფერენცია იქნება თუ სხვა ღონისძიება, მთავარი სათაური აქ ერთია – პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობა დაფუძნებული სიყვარულზე, სითბოზე და საუკეთესო ურთიერთგაგებაზე, რომლის ოსტატებიც ხართ თქვენ და სულ უფრო და უფრო მაგარი ოსტატები უნდა გახდეთ და „გუგლი“ და დანარჩენები მიხედავენ თავის თავს, ეს ყველაფერი ავტომატურად მოგვარდება.“*

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენციის მონაწილეები, კონფერენციის პარტნიორი ორგანიზაციებისგან, სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ – „ლიბერთი ბანკის“, „მაიკროსოფტისა“ და „ინტელის“ წარმომადგენლებმა 23 პედაგოგს ტექნიკა და ფულადი პრიზები გადასცეს.

**ვარდენ ნიქაბაძე**, დაჯილდოებულ მასწავლებელთა შორის ერთ-ერთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანების №2 საჯარო სკოლის დირექტორი და, ამავდროულად, სამოქალაქო განათლებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგია: *„ორი წლის წინაც მივიღე კონფერენციაში მონაწილეობა, გავეცანი დისტანციური სწავლების პროგრამას. მაშინ მომივიდა აზრად, ჩემს სკოლაში დამენერგა, თუმცა ზუსტად იგივე სერვისი, რაც კონფერენციაზე იყო ნახსენები, ვერ მოვარგე, რადგან საუბარია „გუგლზე“, დისტანციური სწავლების სისტემაზე, რომელსაც სერვერი სჭირდება და ა.შ. ამიტომ, პედაგოგებთან ერთად, ვცადეთ სკოლაში დაგვენერგა „გუგლი კლასრუმი“, რომელიც ინტეგრირებულია „გუგლ დრაივთან“. ეს სისტემა გაცილებით უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა. პირველად მე დავნერგე, პირადად გამოვიყენე სასწავლო პროცესში, და არა მარტო, სკოლის ადმინისტრირებისა და კომუნიკაციებისთვისაც აქტიურად ვიყენებთ – როცა რაიმე დავალებაა გასაცნობი და უკუკავშირია საჭირო. სკოლაში 20 მასწავლებელი გვყავს და მათგან 10-15 უკვე საგაკვეთილო პროცესშიც იყენებს ამ სისტემას.*

*წელს პოსტერების სესიაზე წარვადგინე პოსტერი „გუგლ კლასრუმის გამოყენება სასწავლო პროცესსა და სკოლის ადმინისტრირების პროცესში“. ჩემი გამოცდილება გავუზიარე მონაწილე პედაგოგებს და გავიმარჯვე, ასევე მონაწილეობა მივიღე ვიდეოების კონკურსში, მეწყვილესთან ერთად, შევქმენით ვიდეო, რომელიც, ტექნოლოგიების გამოყენებით, მოსწავლეთა სააზროვნო და კრიტიკული უნარების განვითარებას შეუწყობდა ხელს. თანამეწყვილე ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი* ***მაკა კაჭკაჭიშვილი*** *გახლდათ. ამ ვიდეომაც გაიმარჯვა. ვფიქრობ, ტექნოლოგიების კონფერენცია საუკეთესო შესაძლებლობაა სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვისა და მასწავლებელთა მოტივაციის ზრდის კუთხით. კონფერენციაზე ვხვდებით მასწავლებლებს, რომლებიც მართლა ანთებულები არიან – რა მოიპოვონ სკოლისთვის და რა სიახლეები დანერგონ. ასეთი შეხვედრები სტიმულს გვაძლევს, რაც შეიძლება მეტი ვაკეთოთ.“*

ინფორმაცია

# „განათლების მეცნიერება“ რეფერირებადი ჟურნალი განათლების მკვლევრებისთვის

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განათლების მკვლევრებისთვის პირველი ქართული რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალი „განათლების მეცნიერება“ შექმნა. ცენტრის მიზანია, ახალი გამოცემის შექმნით, ხელი შეუწყოს როგორც განათლების სამეცნიერო კვლევებს, ისე მკვლევარი მასწავლებლების ინტეგრირებას სამეცნიერო სივრცეში. ეს იქნება კიდევ ერთი ახალი რესურსი და შესაძლებლობა სფეროს მკვლევრებისა და პედაგოგებისთვის.

პროექტის მნიშვნელობის შესახებ საუბრობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი:** *„ამ მიმართულებით ქართულენოვანი ლიტერატურა ძალიან მცირე რაოდენობით გვაქვს, თუმცა, დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება და ქართულენოვანი ლიტერატურა განათლების მეცნიერების შესახებ უფრო მეტი და მეტი ჩნდება, მაგრამ სივრცე განათლების მკვლევრებისთვის ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე ათვისებული. აქამდე არ არსებობდა სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სადაც მკვლევრებს მიეცემათ ფართო ასპარეზი, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები. ამდენად, ვფიქრობთ, ამით მხოლოდ განათლების მკვლევრები არ დაინტერესდებიან, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი რგოლი მასწავლებლების სახით. მკვლევარი-მასწავლებლებისთვის ეს იქნება სივრცე, სადაც განათავსებენ თავიანთ კვლევებს, რაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საერთაშორისო დონეზე განათლების მკვლევრებისთვის ბევრი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ის, რომ ქართულენოვანი სივრცე ჩნდება განათლების მეცნიერებაში, ეს არა მარტო ადგილობრივ მკვლევრებს შეუწყობს ხელს, არამედ ამ მიმართულებით დაინტერესებულ მკითხველსაც, ის ბევრად უფრო იოლად მოიპოვებს ინფორმაციას და ჟურნალიც მეტად მოხმარებადი გახდება, კონკრეტულ თემებზე მეტი სიღრმით იმსჯელებენ და არა პოპულისტურად, ამის საფუძველს კი სწორედ ჩვენი ჟურნალი მისცემთ.“*

განათლების ფართო სპექტრის ყველა მიმართულებაში ჟურნალს ეყოლება საბჭო, კოლეგია და რეცენზენტები. შესაბამისი სტატია იმ რეცენზენტთან მოხვდება, რომელიც ამ მიმართულებითაა პროფესიონალი. ეს რესურსი კი, მასწავლებელთა სახლის მიერ იქნება ორგანიზებული. რა თქმა უნდა, ყველა მიმართულებით მაღალი კლასის რეცენზენტებს მოიწვევენ, მათ შორის იქნებიან ცენტრის თანამშრომლებიც. სტატია მხოლოდ მას შემდეგ აიტვირთება და გამოქვეყნდება ჟურნალში, რაც დადგინდება, რომ იგი გარკვეული სიახლეა, ამავდროულად – ორიგინალური და შეესაბამება წინასწარ გამოქვეყნებულ კრიტერიუმებს.



რეფერირებადი ჟურნალი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტების რექტორებს, განათლების ფაკულტეტების დეკანებს, განათლების მიმართულებისა და პროგრამების ხელმძღვანელებს, ასევე, მკვლევრებსა და მასწავლებლებს წარუდგინეს. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** ესწრებოდა, რომელმაც ასეთი შესაძლებლობის შექმნა მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო სიახლედ შეაფასა: *„ასეთი შესაძლებლობის შექმნა მნიშვნელოვანია როგორც განათლების მიმართულების მკვლევრებისთვის, ასევე, მკვლევარი მასწავლებლებისთვის. ამასთანავე, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რომ თითოეული გამოქვეყნებული სტატია იყოს ძალიან მაღალი სამეცნიერო ღირებულების და, რაც მთავარია, სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობდეს პედაგოგიურ საზოგადოებაში. ეს არის შესაძლებლობა თითოეული მასწავლებლისთვის გაეცნოს კვლევებს და გადაწყვეტილებები მიიღოს. ასევე, დიდი შესაძლებლობაა განათლების მიმართულებით გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, რომ სრული სურათი დაინახონ და კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მიიღონ“.*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევებისა და შეფასების სამმართველოს უფროსმა, **მზია წერეთელმა** ჟურნალს არაჩვეულებრივი ინიციატივა უწოდა და განაცხადა, რომ ის და მისი დოქტორანტები ჟურნალის ერთ-ერთი პირველი თანამშრომლები და ავტორები გახდებიან, თუკი მათ სტატიებს მიიღებენ. *„თავისთავად ჟურნალი ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მასწავლებლისთვის, არამედ განათლების მეცნიერებისთვის, ამავდროულად, ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტის პროფესორისთვის, რომელიც ხელმძღვანელობს განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებას და ამ ინსტიტუტს. ნამდვილად არ ვართ განებივრებული რესურსებით, ერთი მხრივ, იმ ქართულენოვანი რესურსებით, სადაც სტუდენტი, გნებავთ სპეციალისტი, პოლიტიკოსი თუ გადაწყვეტილების მიმღები გაეცნობა ამ ყველაფერს და, მეორე მხრივ, არ ვართ განებივრებული ისეთი ჟურნალებით, სადაც შეძლებს მაღალი დონის სტატია გამოაქვეყნოს და მიიღოს უკუკავშირი რეფერირების სახით და ამით მართლაც მაღალი დონის სამეცნიერო სტატია შეიქმნას.*

*ეს არაჩვეულებრივი ინიციატივაა. ამჟამად ვმუშაობთ განათლების კონცეფციაზე – პროექტზე, თუ როგორ ესმით ჩვენს ახალგაზრდებს და ძველ თაობას განათლება, რა არის განათლება როგორც კონცეპტი. დეკემბერში გვექნება კვლევის მონაცემები და პირველი, რაც ვიფიქრე, როცა ამ ჟურნალის შესახებ გავიგე, იყო ის, რომ შედეგებს სწორედ აქ გამოვაქვეყნებთ.*

*განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ, ერთი მხრივ, მასწავლებლებს ექნებათ მაღალი დონის კვალიფიციური ნაშრომები, მაღალი დონის უახლესი კვლევები და არა ყურმოკრული ინფორმაცია; მეორე მხრივ, ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალება ეძლევათ, ამ სფეროში არსებული საჭიროებების შესახებ, მასწავლებლებისგან, მათი სტატიებიდან შეიტყონ. რაც მთავარია, ჟურნალს მეცნიერებისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება შეუძლია –ერთმანეთს დააკავშიროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები. ამ ხიდის ფუნქციითაც ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყებაა.“*

# ჩემი მომავალი საქმიანობა

12 ნოემბერს, ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარდა სკოლის მოსწავლეთა კონფერენცია, დევიზით: ჩემი მომავალი საქმიანობა (ბიზნესი).

კონფერენციის ინიციატორი და პროგრამის ხელმძღვანელი იყო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მწერალი **ვაჟა კაკაბაძე**.

**კონფერენციის თემატიკა** – მომავალი საქმიანობა (ბიზნესი), რომლის განხორციელებას გეგმავს კონფერენციის მონაწილე.

**კონფერენციის მიზანი –** ჩამოუყალიბოს სკოლის მოსწავლეებს თავისუფალი აზროვნება.

საქმიანობის (ბიზნესის) გეგმის შედგენა დაკავშირებულია ინტელექტუალური ცოდნის გამოყენების, განჭვრეტისა და ინტუიციის დიდ უნართან, რაც კონფერენციის მონაწილეს შესძენს ეკონომიკური საქმიანობის წარმოსახვით უნარს და გამოუმუშავებს:

- ჭეშმარიტი ღირებულებების განსაზღვრის უნარს;
- თეორიის პრაქტიკაში დანერგვის ხედვის უნარს;
- მოკლე დროში და ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარს;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარს;
- ორგინალური იდეების გენერირებისა (შემოქმედებითობა) და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარს;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარს;
- საჭირო ინფორმაციის მოძიების, დამუშავების უნარს;
- კრიტიკული აზროვნების, თვითკრიტიკისა და თვითმენეჯმენტის უნარს;
- სამოქალაქო და პიროვნული ეთიკური შეგნების საფუძველზე ქცევის უნარს.

კონფერენციის მონაწილენი (გამომსვლელები):

- **მარიამ პაპუნიძე –** ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, მე-10 კლასი, თემა – ჩემი მომავალი საქმიანობა: „სბ (სამართლისათვის ბრძოლა)“;
- **თამთა მეგრელიშვილი, მარიამ გოგებაშვილი** – თბილისის 166-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი, თემა – ლიტერატურული კაფე;
- **თამარ მიხელიძე** – თბილისის 166-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი, თემა – ღვინის პროდუქტი;




- **ელენე სისორდია –** თბილისის 166-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი, თემა – განათლების ცენტრი;
- **ლაშა ნასარაია.** თბილისის 166-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი, თემა – ტურისტული სააგენტო;
- **ნიკა ბულისკერია** – თბილისის 166-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი, თემა – ტრანსპორტისა და სასტუმროების სააგენტო.
- **ანი ლომიძე** – თბილისის 166-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი, თემა – ბათუმის ტურისტული პოტენციალი;
- **თამარ სირაძე –** ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, მე-6 კლასი, თემა – ჩემი მომავალი საქმიანობა: „ბრიტანული სახლი ბათუმში“.

კონფერენციას ესწრებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც ერთხმად აღიარეს: *„სკოლაში ჩვენთვის მსგავსი პროექტების შედგენა რომ ესწავლებინათ, დღეს უკვე მნიშვნელოვნად წინ ვიქნებოდით“*, ხოლო სტუდენტმა **მირანდა შაშიკაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის აღფრთოვანებული დარჩა სკოლის მოსწავლეების საზრიანი და დასაბუთებული გამოსვლით.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის დეპარტამენტის უფროსმა, **თამარ სირაძემ**, ბიოლოგიის დოქტორმა, **ნანა აროშიძემ**, ეკონომიკის დოქტორმა, **მირიან პაპუნიძემ** მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

პროგრამის ხელმძღვანელის, ბატონ ვაჟა კაკაბაძის აზრით, ბიზნესის ანბანს ადამიანი ადრეული ასაკიდან უნდა ეზიაროს, მოსწავლეობის წლებშივე ჩამოუყალიბდეს ის უნარ-ჩვევები, რაც შემდგომ პროფესიის სწორად შერჩევაშიც დაეხმარება და მიღებული ცოდნით პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურად წარმართვაშიც.



ინფორმაცია

# „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“

მაკა ყიფიანი

17 ნოემბერს, თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა თურქაძე**), გალაკტიონის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი და ამავე სკოლის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო – „უჰორიზონტო არსებობა“ გაიმართა. ღონისძიებაში, რომელშიც 51-ე საჯარო სკოლის X5 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, მოზარდებმა დამსწრე საზოგადოებას გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიული ცნობები და მისი ლექსები წარუდგინეს, ისაუბრეს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეპიზოდებზე. როგორც საღამოს ორგანიზატორმა, ქალბატონმა **რუსუდან მარკოზიამ** გვითხრა, სკოლაში მსგავსი საგანმანათლებლო ლიტერატურული ღონისძიებები ინტენსიურად იმართება, ინიციატივა მიზნად ისახავს ქართულ პროზასა თუ პოეზიაში გამოჩენილი ავტორების ახალგაზრდებისთვის უკეთ გაცნობას.

ლიტერატურულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლეები, მშობლები და ამავე სკოლის პედაგოგები. 51-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ, **თინა ყენიამ,** ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, **მაკა ხარებავამ** და ინგლისური ენის მასწავლებელმა, **ნინო გეწაძემ** მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ რუსუდანს და მოსწავლეებს საინტერესო ღონისძიების მოწყობისთვის. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი რუსუდანის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს.

**რუსუდან მარკოზია**, 51-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ღონისძიების ორგანიზატორი: „ჩვენი სკოლა გალაკტიონ ტაბიძის სახელს ატარებს. დღევანდელი ლიტერატურული საღამო „უჰორიზონტო არსებობა“, გალაკტიონის დაბადებიდან 125 წლისთავს მივუძღვენით. მოსწავლეებმა, ერთი თვის განმავლობაში, მოიპოვეს უზარმაზარი მასალა გალაკტიონის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ. გაეცნენ პოეტის ჩანაწერებს, წაიკითხეს მოგონებები მასზე, ჩამოაყალიბეს თავიანთი სათქმელი და ამაღლებული განწყობით მსმენელამდე მიიტანეს. მოსწავლეებმა წარმოადგინეს გალაკტიონის ცხოვრების, მოღვაწეობის და შემოქმედების ცალკეული ეპიზოდები. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შევძლებდით სრულყოფილად წარმოგვეჩინა პოეტის აუწონავი პოეზია, მაგრამ შევეცადეთ, გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვეული ეპიზოდები მსმენელამდე მიგვეტანა. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარში დაგვიდგა ლიტერატურული საღამოს მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა X5კლასის დამრიგებელს, ქალბატონ ნინო გეწაძეს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის“.

**ილია ნარსია**, მოსწავლე: „მიხარია, რომ მომეცა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო გალაკტიონისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაში. გალაკტიონი, მართლაც რომ, ქართული პოეზიის გენიაა, მარადისობა და უკვდავებაა. მისი სამყოფელი ქაოსის, სრულყოფილებისა და რაღაც უცნაური ტკივილის გალაქტიკაა... სიყვარული გენიოსისთვის მთელი სამყაროა, ან ვინ იცის, იქნებ სამყაროზეც მეტი. გალაკტიონმა დაიპყრო ქართული პოეზიის მწვერვალები და იმთავითვე დაადგა გენიალობისა და დიდი შემოქმედის სულიერი წამების გზას“.

**თამთა დუმბაძე**, მოსწავლე: „ღონისძიების მზადების პროცესში, თანაკლასელებთან ერთად, უამრავ საინტერესო მასალას გავეცანი გალაკტიონის შესახებ. იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო. ყველგან და ყოველთვის მარტო იყო. ვეება მხრებით დაატარებდა თავის მარტოობას... შიგნიდან ანათებდა და ამდიდრებდა სამყაროს. მართლაც განუზომელია გალაკტიონის პოეზიის მნიშვნელობა. მისი ლექსის ყოველი სტროფი სიტყვის გასაოცარი ტევადობით გვხიბლავს და გვიზიდავს. გალაკტიონი აზრისა და მუსიკის საზღვარზე გადის. ქართული ლექსი, მუსიკალურ სამყაროსთან ისე ახლოს არასდროს ყოფილა, როგორც მის შემოქმედებაში. „ის ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო... ამოვარდნილი ჩვეულებრიობის ჩარჩოებიდან, ნორმიდან... ნეტა ღმერთი კიდევ ერთ-ორს მასეთ „არანორმალურს“ გვაღირსებდეს“ – ასე ახასიათებს მას ვახტანგ ჯავახაძე.“

**ლიკა ნაცვლიშვილი**, მოსწავლე: „გალაკტიონის გამოჩენა ქართულ პოეზიაში მართლაც სასწაულს ჰგავდა. იგი ერთბაშად აიჭრა თვალუწვდენელ სიმაღლეზე და მისმა თანამედროვეებმა დიდების შარავანდედით შემოსეს და პოეტთა მეფის წოდებაც უბოძეს. იგი იმთავითვე დაადგა გენიალობისა და დიდი შემოქმედის სულიერი წამების გზას. მომწონს გალაკტიონის პოეზია, მასში ყველაფერია – იმედი, სევდა, ბრძოლის ჟინიც და სასოწარკვეთაც, დაცემაც და შემართებაც, ეს არის ძიება ბნელში, ბურუსში. მასში ეპოქის მაჯისცემა ჩანს. გალაკტიონის პოეზია ცხოვრების სახეობაა, კაცობრიობის წინააღმდეგობრივი წინსვლის გამომხატველი. საზღვარდადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობის ჩვენი პოეტის „სულისკვეთებას“ ვერ იტევდა –

„სულს სწყურია საზღვარი, ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“.

**ელენე მახარაძე**, მოსწავლე: „მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება კიდევ უფრო ახლოს გავცნობოდი მანამდე უცნობ დეტალებს გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გალაკტიონმა ახალი ეპოქა შექმნა ქართულ პოეზიაში. მისი შემოქმედება დიდია და მრავალფეროვანი. მისი პოეტური სამყარო საოცარი იდუმალებითაა გარემოცული. ზოგი ლოთობას აბრალებს... ზოგი – სიგიჟეს... ზოგი მეფედ აღიარებს... მსოფლიო კრიტიკა კი გენიოსად მიიჩნევს... სტკიოდა სული და ღვინოში ეძებდა შვებას. წიგნის სახლის ხშირი სტუმარი გახლდათ. კაცმა რომ თქვას, სტუმარი არ ეთქმოდა. „სახელგამი“ ყოველი მისი დღის წესრიგის ძირითად და უპირველეს საკითხს წარმოადგენდა“.

**კესო აბულაძე**, მოსწავლე: „გალაკტიონი რასაც ფიქრობდა, წერდა, წერდა ყველგან და ყოველთვის: აკადემიაში, მწერალთა კავშირში, საავადმყოფოში, ქუჩაში, ბარში, ბაზარში, მატარებელში, მანქანაში, ნებისმიერ დაწესებულებაში... წერდა დღისით, მზისით, საღამოს, ღამით, შუაღამისას, განთიადისას.... რასაც ხედავდა და განიცდიდა, მაშინვე წერდა და ხატავდა კიდეც. ადამიანზე გულაცრუებული და განდეგილი სხვებზე უფრო ხშირად იყურებოდა ცისკენ, მზის ამოსვლას უთვალთვალებდა. საოცარი განცდა დამეუფლა, როდესაც პოეტის მეუღლის, ოლღა ოკუჯავას დღიურში ამოვიკითხე: „მას უცნაური ჩვევა აქვს, მუდამ გატენილი დააქვს ჯიბეები წიგნებით, გაზეთებით, ბლოკნოტებით, ხელნაწერებითა და ფანქრებით“.

**რუსა გვენეტაძე**, მოსწავლე: „გალაკტიონის შედევრები ერთი ამოსუნთქვით დაწერილს ჰგავს. თითქოს ღმერთი კარნახობდა და ქაღალდზე გადატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. მისხალ-მისხალ წონიდა თითოეულ სიტყვას, თითოეულ სტრიქონს და მარცვალს, სულგანაბული აკვირდებოდა, ამოწმებდა, ფერსა და გემოს, პულსს და ტემპერატურას უსინჯავდა. ერთხელ, დილაადრიან, გალაკტიონი ეკლესიაში შესულა და მოწმე გამხდარა იმისა, თუ როგორ იღვრებოდა ცრემლად ღვთისმშობლის ხატის წინ დამხობილი ლამაზი მეძავი. ამ სურათს საოცრად აუღელვებია პოეტი, თურმე მთელი გზა ბუტბუტებდა სიტყვებს და შინ მისული მსწრაფლ მიჯდომია საწერ მაგიდას, ასე შექმნილა მისი არაჩვეულებრივი ლექსი – „სილაჟვარდე ანუ სილაში ვარდი“:

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.
შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა –
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“.

**მარიამ გულედანი**, მოსწავლე: „მიხარია, რომ ჩვენი სკოლა გალაკტიონის სახელს ატარებს. ვფიქრობ, ასეთი ღონისძიებების ჩატარება მნიშვნელოვანია, რათა სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდეს. გალაკტიონი ჩემთვის საინტერესოა თავისი ნახატებითაც! მასალების ძიების პროცესში შევიტყვე, რომ 1989 წლის დეკემბერში, ლიტერატურის მუზეუმში, გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ნახატებისა და ჩანახატების პირველი გამოფენა. საინტერესოა მისი ხაზები და ფერები, მისი ჩრდილები და აჩრდილები, სიმბოლოები და ალეგორიები. გალაკტიონი ამ კუთხითაც დიდებულია, იდუმალი და საინტერესო“.

**ლუკა მაისურაძე**, მოსწავლე: „ათეული წლების განმავლობაში მისი ოპონენტები, რომლებსაც ლიტერატურულ მტრებს ეძახდა, უყენებდნენ ბრალდებას – ლოთია, დალევს... და ასეც იყო. როგორ არ სვამდა, როგორ არ აჭარბებდა, მაგრამ მთავარია, მიზეზები განვსაზღვროთ: ბოჰემური ერთი ხანგრძლივი ციკლი ოლიას დაპატიმრებამ განაპირობა, მეორე – ძმის გარდაცვალებამ, მესამე – პრემიაზე უარმა, მეოთხე – მასობრივი დაჯილდოებისას უყურადღებობამ, მეხუთე – 12 წლის ნაღვაწი პოემის დაწუნებამ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დასანანია, რომ გალაკტიონმა ამაღლებულ ოცნებასა და დამძიმებულ სინამდვილეს შორის გაატარა მწარე წუთისოფელი“.

**ლუკა ცაგარეიშვილი**, მოსწავლე: „პროექტში მონაწილეობის მიღება ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ძალიან მომწონს გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, მისი სტილი და განსხვავებულობა. სწორედ ამიტომ, თანაკლასელებთან ერთად, მივიღე მონაწილეობა ლიტერატურულ ღონისძიებაში „უჰორიზონტო არსებობა“. გალაკტიონი ბევრის ღირსი იყო და ცოტა მიუზღეს... არადა ძალიან ცოტას მოითხოვდა თვითშეცნობილი გენია, სიტყვიერი აღიარებაც ეყოფოდა, ნახევარ სიმართლეზე ნაკლები სიმართლე:

„სასტიკია სული უამინდოთა
განა ქვეყნად ბევრი რამე მინდოდა?“.

**ანასტასია ჯაში**, მოსწავლე: „გალაკტიონმა ბევრი იბრძოლა... იბობოქრა... ცა და ქვეყანა შეძრა, ალმაც იცურა და დაღმაც... ვინ იცის, იქნებ დაიღალა კიდეც და სიკვდილსაც ამიტომ უხმო მანამ, ვიდრე ის მოვიდოდა მასთან. უთქვამს კიდეც, უნდა მოვკვდე, ვიდრე სიკვდილი მოვა ჩემთანო... სულ ასე ეჩქარებოდა: გზად მიმავალს, საუბრისას, ლექსების კითხვისას... ისიც გაუმხელია, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერისო და სიკვდილშიც აჩქარდა. სულ აფორიაქებული დადიოდა, ვერავინ ამჩნევდა მის გულში რა დემონები წრიალებდნენ. გალაკტიონი ეკუთვნის ისტორიას, მუდამ ის იქნება, რაც იყო და კიდევ მეტი, რადგან ყოველი თაობა, ისევე როგორც ჩვენ, ახალ ღირსებებს აღმოაჩენს მის შემოქმედებაში. გალაკტიონი არ შეიცვლება, უფრო დიდ და ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელ სიმაღლეს მიაღწევს. მის პოეზიას ახალ-ახალი მწვერვალებისკენ სწრაფვა არასდროს შეუნელებია. მისი ჯადოსნური პოეზიის მადლი თაობიდან თაობას გადაეცემა. ისევე როგორც ჩვენ, ყოველი ახალი თაობა დიდი მოწიწებით მოეპყრობა მის შემოქმედებას.

მას ტყუილად არ უთქვამს: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“.

**თაკო ჯახუა**, მოსწავლე: „ქართული პოეზია, მართლაც რომ, წარმოუდგენელია უგალაკტიონოდ. 2000 წლის ივნისში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეუნდო მას თვითმკვლელობის ცოდვა, როგორც ლოგიკური შედეგი საბჭოთა მთავრობის მიერ მიყენებული ტანჯვისა. არ არის საჭირო ლოცვა იმაზე, რომ პოეტის ნიჭი აყვავდეს, როგორც არ არის საჭირო მზის ამოსვლაზე ლოცვა. მზე უნდა ამოვიდეს ყოველდღე და პოეტის სიმღერაც მაღლდებოდეს, იზრდებოდეს სიახლით, სიძლიერით... ასეც იქნება. რა დროც უნდა დადგეს, გალაკტიონი თან ამოჰყვება მზის ყოველ ამოსვლას, ხელში თავის განუყრელ პორტფელს აიღებს, აკაკისებურ წვერულვაშს გრძელი, ლამაზი თითებით ჩამოივარცხნის და ეს მართლაც „დიდი, ბავშვივით გულუბრყვილო“ ღმერთკაცი მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი, თითქოს ასაფრენად მომზადებული ნაბიჯებით გაუყვება საუკუნეთა გრეხილს. იქ თვითონ ნახავს თავის გაგრძელებას და ოდესღაც ნათქვამ სიტყვებს გაიმეორებს – „მე თვითონ ვარ ჩემი შემდეგი“ –

აი, ასეთია ჩვენი თაობის გალაკტიონი!“.



# რუქნადინის დამარცხება

**პედაგოგი:** ლელა გოგინაშვილი
**სკოლა:** სკრის საჯარო სკოლა
**საგანი:** ქართული ენა და ლიტერატურა
**კლასი:** მესამე
**გაკვეთილის თემა:** რუქნადინის დამარცხება

## ლექსიკონი

- ***მონარქი*** – სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი, მეფე;
- ***დინასტია*** – ერთი და იმავე გვარის მეფეები, რომლებიც თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს;
- ***ტიტული*** – საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდებულება;
- ***კურსი*** – მიმართულება, გეზი, ორიენტაცია;
- ***ბიზანტია*** –რომის იმპერიის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული, ძირითადად, ბერძნულენოვანი, სახელმწიფო, რომელიც არსებობდა გვიან ანტიკურ ხანისა და შუასაუკუნეების პერიოდში; მისი დედაქალაქი იყო კონსტანტინოპოლი;
- ***ბასიანი*** – ახლანდელი თურქეთის ტერიტორია;
- ***რუმის სასულთნო*** – თურქული სახელმწიფო;
- ***არზრუმი***, იგივე ერზურუმი – ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ერზურუმის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი;
- ***სულთანი*** – მუსლიმანური სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი;
- ***სელჩუკი*** – თურქული ტომის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი;
- ***შამქორი*** – ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია;
- ***დავლა*** – ომში ნაშოვნი ქონება;
- ***ალაფი*** – ნაძარცვი, ნადავლი, ომში ნაშოვნი ქონება.

## გაკვეთილის მიზანი

ფაქტებისა და პერსონაჟების აღწერა და დახასიათება თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით, ახალი ცოდნის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში, მცირე ზომის ტექსტის შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება, ძირითადი გრამატიკული ერთეულების მართებულად გამოყენება როგორც ტექსტის შექმნისას, ასევე ზეპირიმეტყველებისას, შეკითხვების დასმა და მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

## მედიაწიგნიერების მიზნები

- მოსმენის, დაკვირვების, კვლევის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ანალიზის, შეჯამებისა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევათა განვითარება. სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება.
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

## მისაღწევი შედეგები

ქართ. III. 1. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დანიშნულებისა და ადრესატის ამოცნობა მოსმენით; შეუძლია სამეტყველო ქცევის წარმართვა ადრესატის გათვალისწინებით.

ქართ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.

ქართ. III. 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.

ქართ. III. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება.

ქარ. III. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად აღიქვას და/ან თავად შექმნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი, ვიდეო და აუდიომასალა.

ქართ. III. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისად გაფორმება.

ქართ. III. 12. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.

## გამოყენებული მეთოდები/სტრატეგიები

- „კორნელის ჩანაწერების მეთოდი“.
- „მართული კითხვის აქტივობა“.
- გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმა.
- „მოთხრობის პირამიდა“.
- „რაფთი“.
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.
- სავარჯიშოებზე მუშაობა.
- ახალი ლექსიკური ერთეულების გააზრება.
- პრეზენტაცია.
- ვიდეოფილმის ჩვენება.

## აქტუალურობა

ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი. ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება; საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება; ქვეყნის ისტორიის, ინტერესების, კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება.

## წინარე ცოდნა და საბაზისო უნარ-ჩვევები

### მოსწავლეს შეუძლია:

სხვადასხვა სახის საინფორმაციო და ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება, გაგება და გამოყენება. მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა; სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენება; მაიკროსოფტის ზოგიერთი პროგრამის მოხმარება; ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენება.

### ფლობს:

კითხვის ტექნიკას; ინფორმაციას თამარ მეფისა და იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ; საპრეზენტაციო უნარებს.

## გაკვეთილის მსვლელობა – 2 საგაკვეთილო საათი

მოსწავლეებს ბუკებში წინა დღეს გადავუგზავნე ჩემ მიერ გაკეთებული ციფრული სასწავლო რესურსი, ელწიგნი „თამარ მეფე“ – კლასის მართვის პროგრამის ფაილის გავრცელების რეჟიმის გამოყენებით. გთავაზობთ ელწიგნის აღწერას: ელწიგნში გადმოცემულია ისტორიული ცნობები თამარ მეფის შესახებ.

***თამარ მეფე*** *– (1160-1213) საქართველოს მონარქი 1184 წლიდან, გიორგი მეფის ასული, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. თამარ მეფე იყო წარმატებული მმართველი. იგი ყველანაირად ცდილობდა, რომ მამის, გიორგი III-ისა და დიდი პაპის, დავით აღმაშენებლის კურსი გაეგრძელებინა როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებით. თამარის მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს საშინაო და საგარეო გავლენა. საქართველოს სიძლიერით განსაკუთრებით შეწუხებული იყო რუმის სასულთნოს მბრძანებელი რუქნადინი. რუმის სულთანმა რუქნადინმა 400000 მეომარი შეკრიბა და საქართველოსკენ გამოეშურა. რუქნადინმა თამარ მეფეს მუქარითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით სავსე წერილი გაუგზავნა. თამარმა სასწრაფოდ შეკრიბა საქართველოს მხედრობა. ვარძიამდე მიაცილა, დალოცა და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. ბრძოლა გაიმართა ბასიანში 1203 წელს. ეს ბრძოლა ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. საქართველომ კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები რეგიონში და სამხრეთის საზღვრები სრულიად გაამაგრა.*

*ქართულმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა.*

ტექსტს თანდართული აქვს **უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, სურათები და გამოყენებული ლიტერატურა:**

- *ივ. ჯავახიშვილი* „ქართველი ერის ისტორია“ წგნ. 2, თბ., 1965;
- საქართველოს ისტორია X კლასი / მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე / თბილისი, „არტანუჯი“, 2005








მოსწავლეებს ბუკებშივე გადავუგზავნე შესავსებად კორნელის ჩანაწერების გრაფა. კორნელის ჩანაწერების მეთოდი ხელს უწყობს საკითხის უკეთესად დამახსოვრებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ამარტივებს მონაცემის დახარისხებასა და დამუშავებას. მოსწავლეებს უვითარდებათ წერითი მეტყველების კულტურა და დავალებაზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ჩანაწერები გრაფაში. გრაფაში ჩანაწერების გაკეთება შესაძლებელია ტექსტის კითხვისას, ვიდეოს ყურებისას და ლექციის მოსმენის დროს. ეს მეთოდი განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ეხმარება. გთავაზობთ კორნელის გრაფის მოდელს.

| *თემის სათაური*<br>*სახელი, გვარი*<br>*თარიღი* | |
|---|---|
| ძირითადი იდეები<br>შეკითხვები | მნიშვნელოვანი საკითხები<br>მოკლე წინადადებები<br>მნიშვნელოვანი ინფორმაცია<br>ნახატი, რომელიც ინფორმაციის გახსენებაში დაგეხმარება |
| დასკვნა | |

მოსწავლეებს მივეცი გარკვეული მითითებები იმის შესახებ, რომ დაკვირვებით გაეცნონ სასწავლო რესურსს და ინსტრუქციების შესაბამისად შეავსონ თანდართული ცხრილი. შემდეგ გაკვეთილზე მოიტანონ შესრულებული დავალება და გაუზიარონ ერთმანეთს.

სასწავლო რესურსი, რომელიც წინასწარ გავამზადე, მოსწავლეებს დაეხმარება, თავად შეისწავლონ მასალა სახლში მუშაობის პროცესში. მათ საშუალება აქვთ, წაიკითხონ და დააკვირდნენ მას იმდენჯერ, რამდენიც მათთვის ინფორმაციის გასაგებად, გასაანალიზებლად, დასკვნების გამოსატანად და სამუშაოს სწორად შესასრულებლადაა საჭირო. მომდევნო გაკვეთილზე საკლასო ოთახში გაგრძელდება რეფლექსიის ფაზა, გაკვეთილზე გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობებით. მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ფიქრის, მსჯელობისა და შემოქმედების პროცესში.

## პირველი გაკვეთილი

**აქტივობა 1 (5წთ) – საშინაო დავალების განხილვა კორნელის ჩანაწერების მიხედვით.** მოსწავლეები ათვალიერებენ ერთმანეთის დავალებებს. პასუხობენ ერთმანეთის მიერ დასმულ კითხვებს, კითხულობენ დასკვნას.

| **კითხვა** | **სავარაუდო პასუხი** |
|---|---|
| ვისი შთამომავალი იყო თამარ მეფე | თამარ მეფე დავით აღმაშენებლის შთამომავალი იყო. |
| რომელ წლებში მეფობდა? | მეფობდა 1184-1213 წლებში. |
| ვინ იყვნენ მისი მშობლები? | მისი მშობლები იყვნენ გიორგი მესამე და ბურდუხანი. |
| რამდენი შვილი ჰყავდა? | ორი: ლაშა გიორგი და რუსუდანი. |
| ვინ იყო რუქნადინი? | რუმის სასულთნოს მბრძანებელი. |
| რომელ წელს მოხდა ბასიანის ბრძოლა ? | 1203 წელს. |
| რა იყო ბრძოლის დაწყების მიზეზი? | საქართველოს სიძლიერით შეწუხებული რუქნადინის მიერ თამარ მეფისათვის მუქარით სავსე წერილის გამოგზავნა. |
| როგორი იყო თამარისდროინდელი საქართველო? | თამარის მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველო. |

## მედიაწიგნიერება

**აქტივობა 2 (7 წთ) მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს მედიაგზავნილის შესახებ:**

| კითხვები | სავარაუდო პასუხები |
|---|---|
| ვინ არის სასწავლო ციფრული რესურსის (ელწიგნი) ავტორი? როდის შეიქმნა? | რესურსის ავტორია მასწავლებელი, რესურსი შექმნა 2015 წელს. |
| რა იყო მისი შექმნის მიზანი? | ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდება, სახელმძღვანელოში არსებული სტატიის უკეთ გააზრების მიზნით. |
| ვისთვისაა ეს რესურსი შექმნილი? საიდან იცი? | ეს რესურსი შექმნილია მესამე კლასის მოსწავლეებისთვის. |
| ვის შესახებაა ელწიგნში მოცემული ინფორმაცია? | ელწიგნში მოცემული ინფორმაცია თამარ მეფის შესახებაა. |
| რა ინფორმაცია არ ჩანს ელწიგნში ისეთი, რისი ცოდნაც მნიშვნელოვანი იქნებოდა თქვენთვის? | არ ჩანს, ბრძოლის ველზე როგორ იყო ჯარი განლაგებული. |
| თქვენი აზრით, სანდოა თუ არა მასში მოცემული ფაქტები, მოვლენები და მოსაზრებები? | ტექსტში გამოყენებული ფაქტები, მოვლენები და მოსაზრებები სანდოა. |
| რატომ თვლით სანდოდ ან პირიქით? | იმიტომ, რომ მითითებულია წყარო, საიდანაც ეს მასალაა დამუშავებული. |
| რა არის ელწიგნის საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის წყარო? | ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წგნ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორია – X კლასი /მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე/, თბილისი, „არტანუჯი“, 2005. |

**აქტივობა 3 (10 წთ) – ახალი გაკვეთილის კითხვა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილ უცხო სიტყვების განმარტებებს, შემდეგ თავიდან ბოლომდე უკითხავს სახელმძღვანელოში (ავტორი – ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენა, მე-3 კლასი) მოცემულ ისტორიულ სტატიას.

გთავაზობთ ტექსტს:

***რუქნადინის დამარცხება***

*თამარ მეფემ მრავალი ომი გადაიხადა. ამ ომებიდან იგი გამარჯვებული ბრუნდებოდა. საქართველო თანდათან ძლიერდებოდა. ძლევამოსილი საქართველო შიშის ზარს ჰგვრიდა დამპყრობლებს. მტრები ეძებდნენ შემთხვევას, თავს დასხმოდნენ ჩვენს ქვეყანას და აეოხრებინათ იგი.*

*საქართველოს ძლიერებით განსაკუთრებით შეშფოთებული იყო თურქებით დასახლებული რუმის სასულთნოს მბრძანებელი რუქნადინი. მან დიდი ჯარი შეკრიბა და მოემზადა საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად. რუქნადინი დარწმუნებული იყო, რომ თამარ მეფე ვერ გაბედავდა მის მრავალრიცხოვან ლაშქართან შებმას და უბრძოლველად დანებდებოდა, ამიტომ წინასწარ გამოგზავნა მუქარით სავსე ბარათი. თამარ მეფემ მიიღო ეს ბარათი. პასუხის ნაცვლად, ჯარი შეკრიბა და მტრის შესაგებებლად გაგზავნა. ქართველთა ჯარს ხელმძღვანელობდნენ სახელგანთქმული სარდლები: თამარის ქმარი დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, ძმები შალვა და ივანე ახალციხელები. თურქები რაოდენობით ქართველებს ძლიერ სჭარბობდნენ. მათ ჯარში დაახლოებით 400 ათასამდე მეომარი იყო, ქართველები კი 90-ათასიანი ლაშქარით შეეგებნენ მტერს. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. მზის შუქზე ელავდა ქართველ მებრძოლთა ხმლები და მუსრავდა თურქებს. უთანასწორო ბრძოლაში ქართველ მეომართა მოწინავე რაზმმა უკან დაიხია, მაგრამ მალე ისევ ძალა მოიკრიბა და გვერდიდან შეუტია მტერს. ქართველების მოულოდნელმა და ძლიერმა დარტყმამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია მტრის ჯარში. თურქების უზარმაზარი ლაშქარი დაიბნა, დაიქსაქსა, პირი იბრუნა და გაიქცა. შერცხვენილი რუქნადინი ძლივს გადაურჩა ტყვედ ჩავარდნას. ქართველთა ჯარმა ხელთ იგდო თურქების დროშები, დიდძალი დავლა და მრავალი ტყვე. ეს ომი 1203 წელს გაიმართა ბასიანთან. ამიტომ ისტორიაში იგი ბასიანის ბრძოლის სახელით არის შესული. ასეთი გამარჯვება მრავალჯერ მოუპოვებია თამარ მეფეს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.*

გზადაგზა მოიძებნება და აიხსნება უცხო სიტყვები და გამოთქმები. შემდეგ მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ.

**აქტივობა 4 (3 წთ) – სავარჯიშოზე მუშაობა –** უცხო სიტყვათა გათვალსაჩინოება.

მოსწავლეებს ურიგდებათ ფურცელზე ამობეჭდილი სავარჯიშო. მათ უნდა განმარტონ მოცემული წინადადებები ისე, როგორც ესმით. გთავაზობთ სავარჯიშოს ნიმუშს:

**ქართულმა ლაშქარმა შიშის ზარი დასცა მტერს –**

---

**თამარ მეფეს რკინისებური ხასიათი ჰქონდა –**

---

**მტერს შემოსევის წადილი გაუქრო –**

---

**მტერი დაიქსაქსა, დაიბნა და პირი იბრუნა –**

---

**აქტივობა 5 (4 წთ) სახელმძღვანელოს ტექსტზე მუშაობა – ანალიზი**

მოსწავლეებმა ტექსტში უნდა იპოვონ პასუხები კითხვებზე, რომლებიც ჩამოწერილია ფორმატის დიდ ფურცელზე და გაკრულია დაფაზე.

გთავაზობთ კითხვებს:

1. რა იყო მტრების საქართველოთი დაინტერესების მიზეზი?
2. რისი იმედი ჰქონდა რუქნადინს და რაში იყო ის დარწმუნებული?
3. ტექსტში როგორ არის აღწერილი ბრძოლა?
4. რატომ დამარცხდა ამ ომში რუქნადინი?

**აქტივობა 6 (6 წთ) – მოთხრობის პირამიდა**

მოსწავლეები ერთობლივად ავსებენ დაფაზე გაკრულ დიდ თაბახის ფურცელზე დახაზულ პირამიდის უჯრებს. დაფაზევეა გაკრული მისი შევსების ინსტრუქცია.

**აქტივობა 7 (8 წთ) ჯგუფური მუშაობა – მცირე ზომის ტექსტის „რუქნადინის წერილი“ შექმნა და წარდგენა („რაფთის მეთოდი“).**

მოსწავლეებმა თავი უნდა წარმოიდგინონ რუქნადინის ადგილას და მუქარის წერილი მისწერონ თამარ მეფეს. მოსწავლეები შეთანხმდებიან წერილის შინაარსზე, დაამზადებენ კონვერტს. წერილს ჩადებენ კონვერტში და ზედ დააწერენ ადრესატს და ადრესანტს, ჯგუფის ლიდერები გააკეთებენ ნამუშევრის პრეზენტაციას.

გთავაზობთ ერთ-ერთი ჯგუფის მიერ შექმნილი წერილის ნიმუშს.

*„თამარ მეფევ, გავიგეთ, რომ თქვენი ქვეყანა ძალიან გაძლიერებულა. გიბრძანებთ, დანებდეთ და ოქროულობა გადაგვიხადოთ. უარის შემთხვევაში, შემოგესევით და თქვენს საქართველოს მიწასთან გავასწორებთ“.*

**აქტივობა 8 (2 წთ) საშინაო დავალება**

დააკვირდით და შეადარეთ ერთმანეთს ელწიგნში – „თამარ მეფე“ და სახელმძღვანელოს ტექსტში „რუქნადინის დამარცხება“ – გადმოცემული ინფორმაცია. შესადარებლად გამოიყენეთ ვენის დიაგრამა. ინტერნეტში მოიძიეთ მოცემული ინფორმაციის ამსახველი ფოტომასალა.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

## ინფორმაცია

# ესტონელები ქართველ კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ

გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომში ორმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოწვევით, საქართველოში ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის, ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკის, ორგანიზაციული მოწყობის, ინსტიტუციური სრულყოფის შესახებ გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით.

ესტონელმა კოლეგებმა საჯარო ლექცია ჩაატარეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების არსებული სისტემის გაცნობის მიზნით, ესტუმრენ საზოგადოებრივ კოლეჯს „აისი“ და ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მუხრანის №1 საჯარო სკოლას.

შიდა აუდიტორული საქმიანობა საქართველოს საჯარო სექტორში, 2010 წლიდან, ევროკავშირის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ მოდელის საფუძველზე ჩამოყალიბდა და დღეს ქვეყანაში ინსტიტუციური განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება.

**იანუს ტამიარნ**, ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მენეჯერი: *„დღევანდელი საჯარო ლექციის თემა იყო – შიდა აუდიტის მუშაობა ესტონეთში, 15-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება და განვითარების მიმართულებები, რა სიახლეების დანერგვა არის უმჯობესი და რა – გაუმართლებელი, რაზე სჯობს ყურადღების გამახვილება. შევეცადე, ლექციის ფარგლებში, საკუთარი გამოცდილება გამეზიარებინა სტუდენტებისთვის.“*

**ანა ცერაძე**, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი: *„ლექცია შეეხო უშუალოდ აუდიტის სისტემას ესტონეთში – როგორ განვითარდა ეტაპებად. ეს ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო, რადგან ჩვენ ახლა ვიწყებთ ამ სფეროში განვითარებას. შევიძინეთ გამოცდილება და კმაყოფილი ვარ ამ ლექციით. ასევე, განხილული იყო შიდა აუდიტის სახეები, რაც საინტერესო იყო იმით, მაგალითად, რომ ნაფიცი აუდიტების ინსტიტუტს ეხებოდა. ესტონეთში აქვთ აუდიტის ასეთი სახეობა – ნაფიცი აუდიტორები, რაც ჩვენთან ჯერ არ არის და დანერგვას აპირებენ.“*

**ტარმო ლეჰესტა**, ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი: *„ვეცნობით საქართველოს განათლების სისტემას. პირველ რიგში, ვესტუმრეთ ნიკო ბაგრატიონის სახელობის მუხრანის საჯარო სკოლას, ასევე ვგეგმავთ პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის მონახულებას. შევისწავლით, როგორ მუშაობს შიდა აუდიტი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამინისტროში, რა სახის დახმარება შეგვიძლია გავუწიოთ ჩვენს ქართველ კოლეგებს, იქნება ეს გამოცდილების გაზიარება თუ რეკომენდაციები.“*

**ირმა გელანტია-ახვლედიანი**, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი: *„ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩვენი ესტონელი კოლეგები, ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები. არსებითად მნიშვნელოვანია დღეს საერთაშორისო მხარდაჭერა შიდა აუდიტის ინსტიტუციის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან ეს ახალი მიმართულებაა და საჯარო ფინანსების რეფორმის ფარგლებში, მისი დანერგვა 2010 წლიდან მიმდინარეობს საქართველოში.*

*ვიზიტს ჰქონდა ორი მნიშვნელოვანი მიზანი: პირველი – გაეცნოთ განათლების სისტემაში შიდა აუდიტის როლი და მდგომარეობა დღეს, ჩვენი მეთოდოლოგია, საქმიანობის სპეციფიკა. მიგვეღო მათგან რეკომენდაციები; მეორე – დაგვესახა სამომავლო ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა, რაც მოიცავს როგორც ტრენინგებს, სტაჟირებას, საერთაშორისო კონკურსებს, ასევე ექსპერტების ჩართულობას და მათი საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის მიღებას.“*

# მინისტრი რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, რეგიონული მედიის ჟურნალისტებისათვის, შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების თემაზე, სემინარი გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, ჟურნალისტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა შეხვდა და იმ მნიშვნელოვან სიახლეებზე ესაუბრა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან უკვე გატარდა და რომელიც, პროფესიული განათლების სისტემაში იგეგმება.

**ალექსანდრე ჯეჯელავა**: *„დღეს გვქონდა შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. საქმე ეხება პროფესიული განათლების განვითარებას. მოგეხსენებათ, რომ რეგიონებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება, რადგან ეს, ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია სწორედ იმ პროფესიების სწავლებასთან, რომლებიც რეგიონებს სჭირდება, იქნება ეს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიები – მეხილეობა, მეღვინეობა თუ, ვთქვათ, ელექტროობა, კომპიუტერული დიზაინი და ა.შ.*

*ძალიან დიდი ინტერესია რეგიონებში პროფესიული განათლების მიმართ. ეს კონფერენცია, ფაქტობრივად, საშუალებას აძლევს რეგიონული მედიის წარმომადგენლებს, მეტი გაიგონ მიმდინარე პროცესებისა და გეგმების შესახებ და, შესაბამისად, თავიანთ მკითხველებს, მაყურებლებსა და მსმენელებს მიაწოდონ სრულფასოვანი ინფორმაცია, ასე ვთქვათ, პირველი ხელიდან, პროფესიულ განათლებაში არსებული სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ.“*

**ვულფ შმიდერი**, შრომის ბაზრისა და დასაქმების ექსპერტი: *„ჩვენი პროექტი მუშაობს ორ ძირითად სექტორზე – პროფესიული განათლება და შრომის ბაზარზე დასაქმება. ეს ის ორი მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.*

*მედიის ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან ის უდიდეს როლს თამაშობს მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით, რათა მოქალაქეებმა მეტი იცოდნენ პროფესიული განათლების შესახებ მიმდინარე ცვლილებებსა და სიახლეებზე.“*

**თამარ მახარაძე**, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: *„აჭარის რეგიონში – როგორც ქობულეთში, ასევე ბათუმში – ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. თუმცა შესწავლამ აჩვენა, რომ მაღალმთიან აჭარაში არსებობს დამატებითი საჭიროებებიც. ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე მუშაობს, შესწავლილია იქ არსებული რესურსები, ასევე, დაგეგმილი ინვესტიციები და შესაძლებლობები, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს. ვმუშაობთ აჭარის მთავრობასთან, საკითხში ჩართული არიან მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და მიმდინარეობს მუშაობა, რომ ხულოში შეიქმნას, დამატებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების შესაძლებლობა. სავარაუდოდ, ის დაუკავშირდება ქობულეთში არსებულ კოლეჯს, ანუ ამ პროგრამების მიმწოდებელი, რეალურად, ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ იქნება.“*

**სულხან მესხიძე**, ჟურნალისტი: *„როგორც ვიცით, ქვეყნის მასშტაბით, რამდენიმე პროფესიული განათლების შემსწავლელი კოლეჯია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მასშტაბით ეს სივრცეები უფრო გაფართოვდეს, რომ მოქალაქეებისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს. ასევე, მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ავუხსნათ, რომ პროფესიული განათლება ქვეყნის განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღეს ჩვენს შეკითხვებს პასუხობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა. მან საკმაოდ ამომწურავი პასუხები გაგვცა.“*

# მედლები მოინადირეს

მორიგი წარმატებები მოიპოვეს ახალგაზრდა ქართველმა ტყვიის მსროლელებმა. ამჯერად – რუმინეთში, სადაც „ჩემპიონთა თასზე“ იასპარეზეს პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. ჩვეულებრივ, ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონებს იწვევენ, საქართველოდან კი ლეგენდარული ნინო სალუქვაძე იყო მიპატიჟებული. ოღონდ მან მომენტით ისარგებლა და მასპინძლებს ჩვენი ახალგაზრდული გუნდის დაშვებაც სთხოვა. თანხმობაც მიიღო და რუმინეთში ორი ახალგაზრდა გაიყოლა: ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე **ლიზი კილაძე** და მისივე თანატოლი, 16 წლის თბილისელი **აკაკი მოსულიშვილი**. ამჯერად საპატიო მიზეზით არ წასულა თავად სალუქვაძის ვაჟი, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის მონაწილე **ცოტნე მაჭავარიანი** – ის სამი თვით შვეიცარიაშია, შეკრებაზე, სადაც ადგილობრივმა კლუბმა მიიწვია და მათი ხარჯით გადის ამ საწვრთნელ ციკლს. რუმინეთში ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის კიდევ ერთი მოსწავლე უნდა წასულიყო – ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნინო ხუციბერიძე**, თუმცა მას მოულოდნელად სავიზო პრობლემები შეექმნა, შენგენის ვიზა არ ჰქონდა და აეროპორტიდან გააბრუნეს სახლში.

„ჩემპიონთა თასი“ შავიზღვისპირა პატარა ქალაქ იასიში ჩატარდა. ჩვენები ახალგაზრდებში გამოვიდნენ და მედლებიც მოიპოვეს: კილაძე 376 ქულით მესამეზე გავიდა, მოსულიშვილმა კი ფინალში მერვე ადგილით და საკმაოდ ულიმლამო შედეგით – 549 ქულით გააღწია (ფინალში 8 კაცი გადის), თუმცა იქ ბევრად ზუსტად ისროლა და საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მოსულიშვილმა წინა დღეს უფროსებშიც ისროლა და ფინალში იქაც შევიდა, თუმცა მეექვსე ადგილზე გავიდა და უმედლოდ დარჩა.

ჩვენი გუნდიდან კიდევ ერთი მედალი სალუქვაძემ მოიპოვა, ვინც უფროსებში მესამეზე გავიდა.

# ლიდერი ყველგან ლიდერია

ამ დღეებში, ძიუდოს აკადემიასთან არსებულმა კლუბმა „ლიდერმა“, წარმატებით იასპარეზა სლოვენიურ სლოვენგრადეცში ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში „კოროშკას ღია პირველობა“, რომელშიც 30 გუნდი მონაწილეობდა. ჩვენები იქ 13 ძიუდოისტით გამოვიდნენ, თავად შეჯიბრება კი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. **ალეკო მამუკელაშვილის** შეგირდებმა ორივეგან წარმატებით იჭიდავეს. განსაკუთრებით – 2001-2002-წლიანებში, სადაც სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს. ჩემპიონი **ბაჩო ვარდიაშვილი** (+90) გახდა, **გიორგი წამალაიძე** (55) მხოლოდ ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა, **გიორგი შერაზადიშვილი** (73) კი მესამეზე გავიდა.

1999-2000-წლიანებში ბრინჯაოს მედალი **გიორგი კაპანაძემ** (60) მოიპოვა. „ლიდერი“ სლოვენიაში საკუთარი ხარჯით გაემგზავრა, ეს კი იმ პრემიით გახდა შესაძლებელი, რომელიც კლუბმა წლეულს პირველად ჩატარებულ ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატში გამოიმუშავა. კლუბმა იმ თანხიდან შეკრებებიც გაიარა, ეკიპირებაც შეიძინა, ახლა კი ტურნირშიც იასპარეზა.

# ტურნირი გმირის ხსოვნას მიეძღვნა

ებრაულ არადიში წარმატებით იჭიდავეს ჭაბუკმა ბერძენ-რომაელებმა, რომლებიც ისრაელის სახალხო გმირის – ჰანან ბარაკის ხსოვნის ტურნირში ჭიდაობდნენ. შეჯიბრება, რომელშიც 11 ქვეყნის გუნდი გამოდიოდა, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის ტარდება, თუმცა ჩვენები მხოლოდ ჭაბუკებში გამოვიდნენ. ისრაელში მასტერკლასების ჩასატარებლად კლუბ „თბილისი-2007“-ის მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** იყო მიწვეული, ვინც თან თავისი 3 შეგირდი იახლა. მათაც იმედები არ გაუცრუეს და ყველამ მედალი მოიპოვა – 2 ოქრო და 1 ვერცხლი. მონაწილეთა შორის იყვნენ ძმები – **ჯემალ** (85) და **ირაკლი ვაშაკიძეები** (63), რომელთაგანაც უფროსი – ჯემალი




ჩემპიონი გახდა, ხოლო ირაკლიმ მხოლოდ ფინალური პაექრობა წააგო. ტატიშვილის მოსწავლეებიდან მეორე ოქრო **ლაშა ტვილდიანმა** (76) მოიპოვა.

ტატიშვილი ისრაელში ხელცარიელი არ წასულა – თბილისიდან საგანგებოდ დამზადებული თასი წაიღო, რომელიც საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სახელით ჰანან ბარაკის ოჯახის წევრებს გადასცა. ტურნირის შემდეგ მწვრთნელმა რამდენიმე მასტერკლასიც ჩაატარა, რომელშიც ებრაელთა გარდა, სხვადასხვა ქვეყნის გუნდებიც მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ტატიშვილი ისრაელის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ **გოჩა ციციაშვილის** პირადი მწვრთნელია, ვინც ისრაელის ისტორიაში რიგით მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონია. მან ეს ტიტული 2003 წელს საფრანგეთში მოიპოვა, ფინალურ შეხვედრაში კი, იქაურ მწვრთნელთა პროტესტის მიუხედავად, მისი დაჟინებული მოთხოვნით, სეკუნდანტად სწორედ ტატიშვილი ეჯდა და გამარჯვებაც, დიდწილად, მისი სწორი კარნახით მოიპოვა.

# საქართველო მესამეზე გავიდა

წინა კვირას, ქუთაისის სპორტის სასახლეში, ჩატარდა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის – IHF თასი ახალგაზრდებს შორის, რომელიც განვითარებადი სახელბურთო ქვეყნებისთვისაა დაწესებული. როგორც წესი, ასეთი გუნდები ვერ ხვდებიან დიდ ტურნირებზე – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოლიმპიადაზე. საერთაშორისო ფედერაციამ მათთვის სტიმულის მისაცემად დააწესა ამგვარი შეჯიბრება. თან ამით პოპულარიზაციას უწევს ხელბურთს, ეხმარება არასახელბურთო ქვეყნებს სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. იმის მიუხედავად, რომ გვყავდა მსოფლიო დონის ვარსკვლავი **ჯემალ ცერცვაძე**, ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრე ანპილოგოვი** თუ სხვა არაერთი გამოჩენილი სპორტსმენი, თავისი დღევანდელობიდან გამომდინარე, ქართული ხელბურთიც განვითარებად, ანუ სუსტ ჯგუფში შედის.




ეს ტურნირი ამ ფორმატით წლეულს მეოთხედ ჩატარდა, აქამდე კი ზემოაღნიშნული მიზნით ტარდებოდა ე.წ. „ჩელენჯ ტროფი“, რომელიც შვიდჯერ გაიმართა, თუმცა ახლა საერთაშორისო ფედერაციამ ფორმატი დახვეწა. კერძოდ, 2012 წლიდან ასაკობრივი შეზღუდვა დააწესეს, მანამ კი ეროვნულ ნაკრებთა დონეზე იყო. თანაც, მაშინ ეს ევროპული ფედერაციის ეგიდით იმართებოდა, 2010 წლიდან კი, ევროპის ზონალურ შეჯიბრებად გადაკეთდა, რომლის გამარჯვებულიც საერთაშორისო ფედერაციის ინერკონტინენტალური თასისთვის იბრძვის, სხვა კონტინენტების ზონალური შეჯიბრების გამარჯვებულებთან ერთად. ასაკობრივი შეზღუდვის შემოღების შემდეგ ეს 23-წლიანთა ტურნირი იყო, მაგრამ 2014 წლიდან მონაწილეთა ასაკი 21 წლამდე ანუ ახალგაზრდებით განისაზღვრა.

ქუთაისში სათამაშოდ მოლდოვას, დიდი ბრიტანეთის, სომხეთის, კოსოვოს, ალბანეთის და მალტის გუნდები ჩამოვიდნენ, რომლებიც ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. საქართველო ჯგუფში ალბანეთთან, ბრიტანეთსა და სომხეთთან ერთად მოხვდა. ჩვენებმა პირველ შეხვედრაში იოლად დაამარცხეს ალბანეთი – 55:10 და აქ ანგარიში ყველაფერზე მიუთითებს. მეორე დღეს მათ სომხებიც მიაყოლეს ასევე იოლი გამარჯვებით – 47:8. აქ ჩვენებმა თავიდანვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს – 11:0 დაწინაურდნენ, პირველ ტაიმში კი მეტოქეს მხოლოდ ორი გოლი გაატანინეს და პირველი ნახევარი 25:2 მოიგეს. ჯგუფის გამარჯვებულის გამოსავლენად ჩვენებს ბოლო შეხვედრაში აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ ბრიტანეთი, ვისაც ასევე ორი მოგება ჰქონდა. ამ მატჩში ქართველებმა ძველებურად ველარ იხეირეს, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს – 32:16 იმარჯვეს და ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვებით ნახევარფინალში გავიდნენ.

იქ მასპინძელთა მეტოქე ტურნირის მომავალი გამარჯვებული მოლდოვა აღმოჩნდა, ტაქტიკურ ორთაბრძოლაში გვაჯობა – პერსონალურად ჩაკეტეს ჩვენი ლიდერი **თეიმურაზ ორჯონიკიძე**, რითაც ფინალისკენ ერთი ნაბიჯი გადადგეს. ჩვენს გუნდში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც თამაშის გაძღოლას საკუთარ თავზე აიღებდა, მასპინძელთა ნაკრებიც მოიშალა და მოლდოვამ დამსახურებულად მოგვიგო: 33:24. ფინალში მოლდოვამ კოსოვოსაც აჯობა (30:28), ჩვენი ხელბურთელები კი მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ისევ ბრიტანელებს გაეჯიბრნენ და მეორედაც მოუგეს – 40:27. სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოთა შორის საქართველოს რამდენიმე წარმომადგენელიც მოხვდა: საუკეთესო მარცხენა გარემარბად **ხაზეინ რუსტამოვი** დაასახელეს, მარცხენა შუამარბად – ზემოხსენებული ორჯონიკიძე. რუსტამოვი 39 გოლით ტურნირის ბომბარდირიც გახდა, შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშედ კი მოლდოველი **ვალენტინ ივანჩენკო** აღიარეს.

# რაგბიში სკოლებიც ერთვებიან

„ჩაერთე რაგბიში“ საქართველოს რაგბის კავშირის სასკოლო პროექტია, რომელსაც ეს ორგანიზაცია „ნატახტარის ლიმონათის“ მხარდაჭერით ახორციელებს. მისი მიზანია რაგბის კიდევ უფრო პოპულარიზაცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, მოზარდების ჩაბმა სპორტში და სხვ. რაკი ეს მოსწავლეთათვის განკუთვნილი პროექტია, წესებიც ბავშვებზეა მორგებული.

„ჩაერთე რაგბიში“ ევროპის რაგბის რეკომენდაციით და სტანდარტებით ხორციელდება. ფიზკულტურის მასწავლებლების გადამზადება პროექტის ფარგლებში იგეგმება. ამაში მათ ლიცენზირებული ინსტრუქტორები დაეხმარებიან. უკვე გადამზადდა 86 მასწავლებელი, ხოლო 20-მა ინსტრუქტორმა სპეციალური ტრენინგი გაიარა მათთან სამუშაოდ.

ეს პროექტი სამფაზიანია: სცადე, ითამაშე და დარჩი რაგბიში. მისი მიზანია, პირველ ეტაპზე გააცნოს მოზარდებს რაგბის ანბანი, გაუღვივოს ინტერესი და შეაყვაროს სპორტის ეს სახეობა, ანუ მათ სცადონ თამაში, ხოლო ვისაც მოეწონება, დარჩეს კიდეც რაგბიში. აღსანიშნავია, რომ პროექტი თანაბრად ითვალისწინებს როგორც ბიჭების, ასევე გოგონების ჩართვას რაგბიში.

საქართველოში რაგბის პოპულარობა არ აკლია. პირიქით, ინტერესი დღითი დღე იზრდება, რისი დასტური ეს პროექტიცაა – მასში უკვე ჩაერთო თბილისის 150-მდე სკოლა, თუმცა, ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ გაისად დედაქალაქის კიდევ რამდენიმე ათეული სკოლა დაემატება, ხოლო პროექტის ფარგლებში უკლებლივ ყველაში შევლენ. უკვე ცნობილია, რომ გაისად გაიმართება რაგბის ფესტივალი – „ნატახტარის ლიმონათის თასი“, რომელშიც თბილისის ყველა სკოლა მიიღებს მონაწილეობას, გამარჯვებული კი საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება.

ეს პროექტი მძლავრი სტიმული იქნება ბავშვებში რაგბისადმი ინტერესის გასაღვივებლად. ამ საქმეში რაგბის კავშირს ჭაბუკთა აკადემიაც დიდ სამსახურს გაუწევს, სადაც უკვე განხორციელდა სტრუქტურული თუ საკადრო ცვლილებები და მთელი დატვირთვითაც დაიწყო მუშაობა. ამ აკადემიის აღზრდილთა დიდი დამსახურებაა ახალგაზრდული ნაკრებების წარმატებები საერთაშორისო არენაზე, თუმცა წინსვლისთვის მუდმივი რეფორმებია საჭირო. აკადემიას სათავეში, ახლო წარსულში ცნობილი მორაგბე, **ზაზა ლეჟავა** ჩაუდგა, ვისაც შესაბამისი ლიცენზიაც აქვს. თანაც, წლების განმავლობაში მუშაობდა „რაგბის განვითარების“ ჯგუფში და, ამ კუთხით, საკმაოდ დიდი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა დაუგროვდა, რომ არაფერი ვთქვათ გამოცდილებაზე. თავად აკადემია ორ ნაწილად – თბილისის და ქუთაისის ფილიალებად დაიყო. თბილისისას ისევ ლეჟავა უხელმძღვანელებს, ქუთაისისას კი, ასევე ახლო წარსულში კიდევ ერთი ცნობილი მოთამაშე – **ბესიკ ხამაშურიძე**.



შეიცვალა საწვრთნელ-სავარჯიშო სისტემაც. კერძოდ, გაუქმდა 15-წლამდელთა ნაკრები, რადგან უცხოეთში, ამ ასაკში, არ ტარდება არანაირი ოფიციალური შეჯიბრებები, მის ნაცვლად კი, შეიქმნა რამდენიმე რეგიონალური გუნდი. ამ ჯგუფებისთვის შემუშავდა სამწლიანი პროგრამა, რაც გაზრდის რეგიონების როლს მოზარდების აღზრდაში. ამ ასაკში აღარ მოხდება სელექცია, ანუ ნაკრებს მიღმა დარჩენა ბავშვებისთვის აღარ იქნება სტრესი. მათ პერიოდულად გადაანაწილებენ სხვადასხვა ჯგუფებში და ათამაშებენ ერთმანეთში, ხოლო სელექცია 18-წლიანთა ნაკრებისთვის შესარჩევად, დაიწყება 17 წლიდან. ეს უკვე პროფესიული სპორტის მისადგომებია, როცა მოზარდები ზრდასრულ ასაკში გადადიან და იქ პროფესიული მიდგომები მოეთხოვებათ. მაშინ კიდეც რომ დარჩნენ ნაკრებს მიღმა, ეს სტრესი კი არა, სტიმული იქნება, რომ მეტი ივარჯიშონ და შრომით მოიპოვონ ადგილი ნაკრებში. პარალელურად, აკადემიის ხელმძღვანელობა მუდმივ კავშირშია ეროვნული ნაკრების მწვრთნელებთან და მათგან იღებენ მითითებებს, რა კომპონენტში სჭირდებათ გაძლიერება ქართველ მოზარდებს და როგორ ავარჯიშონ ისინი.

*რუბრიკა მოამზადა* ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა




წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა




წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“




წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა




წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“




ამინდი




არქიტექტურა




კრიმინალისტიკა




ჯანსაღი კვება




მთები




ევროპა




ოლიმპიური თამაშები




მეკობრეები




ქიმია




ხალხთა დიდი გადასახლება




მეცნიერებები




უძველესი ადამიანი

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გარესაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბარონ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




კრებულის ფასი – 9.90ლ

## ქართული ენის კრებულები




სერიის ფასი – 17.70ლ

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.




სერიის ფასი – 30.40ლ

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე




### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

**6,50 ლარი**

### მასწავლებლის სამუშაო რვეული




**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

**4 ლარი**

### კათედრის გამგის პორტფოლიო




**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული




კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

**6 ლარი**

### მასწავლებლის კალენდარი




2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

**5,50 ლარი**

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

# „კომბლეს“ ორიგინალი, ანუ კომბლე – საბჭოთა გმირი თუ ქრისტეს მოციქულობის სიმბოლო

## დამახინჯებული „კომბლე“

„კომბლეს“ რამდენიმე ვერსია არსებობს. ეპოსს, თქმულებებს, როგორც წესი, ეს ახასიათებს. ვერსიების სახელმწიფოებრივი ინტერპრეტირება მნიშვნელოვნად ახარვეზებს მთავარ სათქმელს, ხალხისეული ან კუთხეებისეული ინტერპრეტირება კი მას, უბრალოდ, მოცემულ დროსა და სივრცესთან ასადაგებს. ძირითადად, „კომბლეს“ ორ ვერსიას იცნობს ხალხი – ანიმაციური ვერსია ძროხის მონაწილეობით და პროზაული ვერსია ორი, ან სამი ცხვრის მონაწილეობით (თუმცა, კიდევ არის რამდენიმე ნაკლებცნობილი ვერსიაც). ორივე მათგანში მართლაც ჩანს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩარევა, რომელიც საბჭოურ ეპოქასთან კავშირში უნდა იყოს. ამიტომ, ჯეჯელავასეულ შეფასებას ისე მტკივნეული აღქმა არ უნდა მოჰყვეს, როგორიც მოჰყვა. მას ასე ესმის და რა ქნას? მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ იგი ხშირად საუბრობს თემებზე, რომლებსაც არ იცნობს. ასეა, მაგალითად, თუნდაც სკოლის დანიშნულების მისეული (და არა პედაგოგიური) ხედვა. ცუდი მეცხვარეა და ამიტომ, რატომ ასწავლიანო, თქვა მან და ამ განცხადებით, საზოგადოება ანკესზე წამოაგო და კომბლეს, როგორც მეცხვარეს, დამცველებიც კი გამოუჩნდნენ. არადა, საბჭოურ ვერსიაშიც კი ზღაპარს ეწოდება „კომბლე“, ანუ ის არაა მეცხვარე. კლასიკური აბსურდია, ადამიანი განსაჯო იმ საქმეში, რომლის სპეციალისტიც არაა.

## „კომბლე“ და „ძველი აღთქმა“

ორ თუ სამცხვრიანი კომბლეს პროზაული და ძროხიანი კომბლეს ანიმაციური, შეცვლილი, მეოცე საუკუნის ვერსიები ერთი ზღაპრის გახლეჩვის შედეგია. ძველ ვერსიაში კი კომბლეს ჯერ ძროხა ჰყავს, ხოლო ძროხის გაყიდვის შემდეგ 4 ცხვარს ყიდულობს. ეს ზღაპარი მერე მართლაც მოარგეს საბჭოეთს და ალბათ, ჯეჯელავას მისი ახალ ეპოქაზე მორგება სურს.

ორიგინალურ ვერსიაშიც კი კომბლეს ხელობა არც მწყემსობაა, არც მეცხვარეობა, ის კომბლეა. თუმცა, ჰყავს ჯერ ძროხა, მერე ცხვრები და სამართლიანად იცავს თავის ქონებას – ჯერ ძროხას, მერე ცხვრებს. ყოფითი ინტერპრეტირების გარდა, ზღაპრები რელიგიურ სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებდნენ. ზღაპრები აკრიტიკებენ უსამართლობას და მხარს უჭერენ სიყვარულს, სამართლიანობას, სიკეთეს. ძველი, ორიგინალური ვერსიის „კომბლეს“ რელიგიური მხარეც ასე გამოიყურება:

ზღაპრის დასაწყისშივე ნათქვამია, რომ კომბლე გამრჯე, მშრომელი ადამიანია. მისი საქმიანობა, კომბლების (სამართლიანობის სიმბოლო) თლაა. მას ხალხი ეძახდა კომბლეს, ანუ სამართლიანობის მოყვარულს. ძველი აღთქმა მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლიანობასთან. კომბლეს თავიდან მარტო ერთი ძროხა ჰყავს, რაც, სიმბოლურად, „ძველი აღთქმის“ ეპოქას მოასწავებს. ყველამ და ყველაფერმა იცოდა, რომ ძროხა კომბლესი იყო და მას ვერაფერს უბედავდნენ, ანუ ყველას ჰქონდა ძველი აღთქმის სწავლებათა შიში. ერთხელაც ძროხა ბერწი დარჩა, ანუ მოვიდა დრო ძველი აღთქმის ეპოქის დასასრულისა. ეპოქისა, როდესაც რჩეულ ერს უნდა ჩამოერთვას სახარებისეული „ვენახი“ და სხვას გადაეცეს. კომბლემ ძროხა გასაყიდად წაიყვანა და ყასბებს შეხვდა. ყასბები ძველი აღთქმის მღვდელმსახურებად შეგვიძლია განვიხილოთ, ქრისტეს მოსვლის დროს რომ იყვნენ და რომელთა ხელშიც ძველმა აღთქმამ ფასი დაკარგა. ყასბები არწმუნებენ კომბლეს, რომ მისი ძროხა თხაა და თხის ფასადაც შეიძინენ. ისევე, როგორც, თავიანთი სურვილისამებრ ამახინჯებდნენ ისინი სჯულის სწავლებასა და მცნებებს. აკი, ეუბნება კიდეც ქრისტე: *„დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე ჯერ-იყო საქმედ და იგი არა დატევებად“* (მათე. 23.2.).

ასე გააუფასურეს სჯული და ღვთის სწავლება მწიგნობრებმა, ფარისევლებმა, მღვდელმსახურებმა. ყასბებმა ძროხა თხის ფასად იყიდეს და, კომბლესსავე თხოვნით, მას ძროხის კუდი დაუტოვეს. ანუ როგორც სახარებიდანაც ჩანს, ხსენებული პირები სრული მონოპოლისტები ხდებიან სჯულის მოძღვრებისა და აცხადებენ, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ ღვთის სწავლება, ამ დროს კი, ყოველგვარ ფასს უკარგავენ უფლის მცნებებს.

ერთხელაც ყასაბი ძალიან ავად გახდა, რაც ნიშნავს ძველი აღთქმის მღვდელმთავართა უსჯულოებით განსაკუთრებულად დაავადებას და ცოდვებით მოწყვლას. კომბლე მათ ძროხის კუდით ესტუმრა და კომბლით სცემა. აქ კომბლე სიმბოლურად იოანე ნათლისმცემელს განასახიერებს. ცემა კი ნიშნავს იოანე ნათლისმცემლის მხრიდან მწიგნობართა, სჯულის უხეირო მოძღვართა და ფარისეველთა დაუნდობელ მხილებას, მათ გამათრახებას, რასაც ისინი ცხადია, მძვინვარებით პასუხობდნენ (*„ნუ ჰგონებთ და იტყჳთ გულთა თქუენთა: მამაჲ გჳვის ჩუენ აბრაჰამი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აბრაჰამისა“* ლუკა. 3.8). ყასაბი იძულებულია ორმაგი ფასი გადაუხადოს კომბლეს ძროხის საფასურში. კომბლემ რეალური ფასი აიღო, წავიდა და 4 ცხვარი იყიდა.

## ნამდვილი „კომბლე“ და „ძველი აღთქმა“

ცხვრები, როგორც ვიცით, რელიგიური მნიშვნელობით, უფლის სამწყსოს - მრევლის შესატყვისია. თავიდან 4 ცხვარი ჰყავს, რაც ქრისტეს სამწყსოს ოთხი მხარის დამცველობას აღნიშნავს. ამ სიუჟეტს ამძაფრებს ისიც, რომ ჩამოივლის კიდეც ქრისტე ღმერთი გადაცმული და შეამოწმებს კომბლეს. ქრისტეს გადაცმულობას ორი მნიშვნელობა აქვს. ერთი, როდესაც ის დამდაბლებული ბეთლემში იშვა და ახალი სწავლება, ახალი კვერთხი შემოიღო, ხოლო მეორე მნიშვნელობა ისაა, რომ ბერიკაცი, გაჭირვებული, უცხო სტუმარი შესაძლოა სწორედ ქრისტე იყოს.

*„ერთხელ იმ მხარეში ქრისტე-ღმერთმა ჩამოიარა, ნახა ეს ამდენი ცხვარი და თქვა, – მოდი, ერთი, ამ ცხვრის პატრონს ვეწვევი და ვნახავ, რა კაცია, აბა, თუ ამ სიმდიდრის შესაფერი გულუხვობაცა აქვსო. გადაიქცა მათხოვარ ბერიკაცად, მიადგა კომბლეს და სთხოვა:*

*– უსახლკარო კაცი ვარ და ერთ ღამეს შემიფარეო.*

*კომბლე ხელგაშლით შეეგება, მობრძანდით, სტუმარი ღვთისააო – დაუკლა ცხვარი, კარგა გაუმასპინძლდა და ბუმბულის ლოგინში დააძინა.*

*მეორე დილას ადგა ქრისტე-ღმერთი და უთხრა:*

*– რაკი ასეთი კეთილი კაცი ყოფილხარ და ცხვრები და კომბლებიც ასე ძლიერ გყვარებია, მე შენ ერთ ისეთ კომბალს გაჩუქებ, რომ რასაც ეტყვი, ყველაფერს აგისრულებსო.“*

„რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.“ (მათე. 25,40) ამბობს ქრისტე სახარებაში.

კომბალი სიმბოლურად „ახალი აღთქმის“ კვერთხია, რომელსაც ქრისტეს მოსვლის მერე უფრო მეტი ძალა ეძლევა, ქრისტე მას უკურთხებს და კომბალი სასწაულმოქმედი ხდება. კომბლე კი ამ მომენტიდან ქრისტეს მოციქულებსა და სამოციქულო ეკლესიას განასახიერებს.

ძველსავე ზღაპრიდან ჩანს, რომ, მართალია, კომბლემ თავიდან 4 ცხვარი იყიდა, მაგრამ ეს ცხვრები გამრავლდნენ ისევე, როგორც, თავდაპირველად, ქრისტეს სამწყსო იყო მცირე და შემდეგ კი გამრავლდა. ზღაპრიდანაც ჩანს, რომ ქრისტეს სტუმრობის მერე ცხვარი მრავლდებოდა და მრავლდებოდა. აქ ჩვენ ვხვდებით შრომისა კურთხევას და კომბლეს შრომას. კომბლე გამრჯეა და თან იცის, რომ უფლის კურთხევის გარეშე შრომას ფასი არ აქვს.

ზღაპარში ჩანს, რომ სახელმწიფო არანაირ პირობას არ ქმნიდა განვითარებისთვის: *„იმ ქვეყნის ხელმწიფე მეტისმეტად გულხარბი და შეუბრალებელი იყო. ვისაც კი ცოტა ქონება დააგულებდა, შეუსევდა თავის ნაზირ-ვეზირებს და წაართმევდა. ხალხი შიშით საქმეს ველარ აკეთებდა“.*

დღევანდელი გადასახედით ეს იგივეა, რომ სახელმწიფო ხელს უშლიდეს ბიზნესის განვითარებას, ხოლო რელიგიურად ესაა ამქვეყნიური სულის ბრძოლა ქრისტეს სამწყსოსთან, აკი ებრძოდნენ კიდეც იმპერატორები ქრისტეს ერს.

ბოლოს ხელმწიფემ გადაწყვიტა კომბლესთვისაც წაერთმია ქონება, ანუ მოესპო ქრისტიანობა.

*„წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, გამოირეკეს მთელი ცხვარი და მოურეკეს ხელმწიფეს“* – მათ კომბლეს წაართვეს მთელი ფარა და არა ორი ცხვარი.

კომბლე თავიდან მორჩილად მიდის ხელმწიფესთან და სთხოვს ცხვრების დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ, პირიქით, თითქოს საფრთხეც ემუქრება, მაგრამ სწორედ აქ ეხმარება მას ღმერთი და კომბალი – იგივე კვერთხი, სწორედ კვერთხი უფლისა იხსნის მის ცხვრებს, ანუ როგორც ფსალმუნი გვეუბნება: *„უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“*. არა მარტო ცხვრები იხსნა უფლის ძალამ, არამედ თავისი ერის მდევნელი ხელმწიფეც საბოლოოდ დაამარცხა. ესაა ქრისიტიანობის გამარჯვება და წარმართობის დამარცხება. ხალხიც სიხარულით ცას ეწია მეფის სიკვდილის გამო.

კომბლეს გაამეფებენ. ეს ნიშნავს ქრისტინობისა და ქრისტიანული ეკლესიის გამეფებას, ხელისუფლების გაქრისტიანებას, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. იმას, რომ ქრისტეს უხილავი ბატონობა აწმყოშიც გრძელდება, ადასტურებს ზღაპრის ფინალი:

*„კომბლე დღესაც ტახტზე ზის, ისევ თლის კომბლებს და ჭერში აწყობს, მტყუანს, ხარბსა და გულბოროტს დღესაც თავში უჩაჩქუნებს, ხოლო ალალ-მართალსა და გულკეთილს ყველანაირად სწყალობს“!*

**დავით ფერაძე**
*ისტორიკოსი, პედაგოგი*

**P.S.-ის მაგიერ: „რწყილი და ჭიანჭველა“**

ზემონათქვამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალექსანდრე ჯეჯელავამ ქართული ზღაპრები არასათანადოდ და ზერელედ იცის. წესით, ზღაპრები თავდაპირველი ვერსიით უნდა ისწავლებოდეს. მე პირადად მიმაჩნია, რომ საფუძველშივე ათახსირებს ბავშვის სულს „რწყილი და ჭიანჭველას“ თანამედროვე ვერსიის სწავლება. ესაა ნეპოტიზმის, მექრთამეობის პროპაგანდა. თუ მას არსებული ფინალით დავტოვებთ, კვლავ გაგრძელდება ბავშვების სულიერი დაბინძურება, მით უმეტეს, სახელისუფლებო პოლიტიკაც ხომ ნეპოტიზმს ეყრდნობა. „რწყილი და ჭიანჭველა“ უნდა ვასწავლოთ ორიგინალის მიხედვით, სადაც ნეპოტიზმი და მექრთამეობა ბავშვში ზიზღს გამოიწვევს. ორიგინალში კი, სამწუხაროდ, ჭიანჭველა სწორედ ნეპოტიზმს ეწირება და მისი გადარჩენა ვერ ხერხდება. ამაზე, ალბათ, მოგვიანებით.

